საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge

სამშაბათი, 27 სექტემბერი. 2016 წ. №179 (8071), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

③ გენო კალანდია, ზაურ კალანდია:

ფარსის მონაწილენი ნუ გახდებით!

ლირსებისა და ზნეობის კვალდაკვალ...

წერილი ხაგვიოდელებს

27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა

ვოდება სანვრებთან

ჟურნალისტის ნანახი და განცდილი ④

...ვით დაიბადა ეს ყველაფერი

არაგვი როცა მობლავის – მე ⑤ ღმერთის რისხვა მგონია...



მეოცნებეებო, ნაციონალებთან დემოკრატიის ენით ლაპარაკი მგლის თავზე სახარების კითხვაა!

სასწაული რომ მოხდეს და ჰიტლერი გაცოცხლდეს, არა მგონია, გერმანელმა ხალხმა არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცეს. ყველაფერი ამქვეყნად, რასაკვირველია, შედარებითია, მართალია, სააკაშვილი მინიატიურული ფიურერია, მაგრამ კარგად, გულდასმით თუ გავაანალიზებთ ნაციონალების თითქმის ოთხწლიან თავზეხელაღებულ პარპაშს, ცხადად დავინახავთ ძალიან ბევრ მსგავსებას, უტიფრობის, თავხედობის, აფრებაშლილი დიქტატურის თვალსაზრისით, ნაციონალებსა და ნაციონალ-სოციალისტებს შორის.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 70 წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ გერმანელ ხალხს დღესაც თვალწინ უდგას ის საშინელი დრო, როგორც ისტორიის მარადიული მწარე გაკვეთილი. ჩვენ, ქართველებს კი, ოთხ წელიწადში მეხსიერებაში უკვე წაგვეშალა სააკაშვილის ტოლერანტობის შავი პერიოდი, როცა ქუჩებში სისხლის გუბეები იდგა, როცა მორგები სავსე იყო მხეცურად დახვრეტილი ადამიანებით, როცა სკოლებისა და საბავშვო ბაღების ნაცვლად საქართველოში ახალ ციხეებს აშენებდნენ და ეს ჩვენი ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ნამდვილ ჯოჯოხეთს დაამგვანეს.

და იმის ნაცვლად, რომ წუთისოფელმობეზრებული ხალხის მიერ 2012 წლის არჩევნებში გამარჯვებულ „ქართულ ოცნებას“ მთელი პრინციპულობით მიეზღო საკადრისი მავნებელი ნაციონალებისთვის, პირიქით, მთავარმა მეოცნებემ მტერ-მოყვრისგან ნაკარნახევი თანაარსებობის, ნაციონალებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების ფრიად საზიანო აზრით ხელ-ფეხშეკრულმა, არცთუ

მაინცადამაინც ჯანსაღი სიბრძნე მიაწოდა ქვეყანას: მე ისეთ დემოკრატიას შევქმნი, მთელ ევროპას გავაოცებო.

აი სწორედ ამ ნაუცბათევმა დემოკრატიამ გაუხსნა წარბშეუხრელ დამნაშავე ნაციონალებს გზა ახალი თავგასულობისკენ. ახალ ერთგვარად გამოუცდელ ხელისუფლებას გახრწნილი ძვალივით დაადგნენ გულზე და მთელი გრძელი ოთხი წელიწადი მომცდენ ლაყბობაში აიყოლიეს, საფქვავდაუყრელი წისქვილი ფუჭად აღრიტინებინეს, ანუ თავიანთ ახალ ტაქტიკას ასე თუ ისე ხორცი შეასხეს. ამ ამბავმა კი ბევრს გული გაუტეხა, იმედი გაუცრუა, და სწორედ ამ გულგატეხილთა და იმედგაცრუებულთა იმედით ყელყელაობენ წინასაარჩევნოდ სააკაშვილისაგან ოდესიდან შეგულიანებული, უკვე მართლაც ყელში ამოსული ნაციონალებად წოდებული აშკარად ანტიქართველები, რომელთაც ხალხიც და ქვეყანაც სულ ფეხებზე ჰკიდიათ და საქართველო სათლელ დუმად წარმოუდგენიათ. რის ჩამოთლაც ვერ მოასწრეს, ახლა აპირებენ ბოლომდე ჩამოთლას, რისთვისაც კვლავ გახელისუფლებაა საჭირო. გასახელისუფლებლად კი ყველაფერზე წავლენ, არავითარ რყევებს არ მოერიდებიან.

„ქართული ოცნება“ კი ამ დროს, ცხადია, რომ ნაძალადევ სიმშვიდეს ინარჩუნებს და ისევ და ისევ ევროპის გასაოცებელი დემოკრატიის გზას ადგას, არა მარტო მთელ ნაციონალურ პარტიას, არამედ ერთ ცრუ სატელევიზიო არხიდან გამოჭყეტილ თხუნელასაც კი ვერ უმკლავდება საკადრისად.

ერთი სიტყვით, ნამდვილად უკვე დიდი ხნის გადასაშენებელი ნაციონალები ოცნების დემოკრატიული პოლიტიკით იკრებენ ბოროტ ძალებს და ამ უწყინარი დემოკრატიის წყალობით ეპირებიან გამარჯვებას.

პირდაპირ გასაკვირია, ნუთუ ოცნების ხელმძღვანელობამ არ იცის, თუ რა მოსდევს მგლის თავზე სახარების კითხვას?!

თუ ასე გაგრძელდა ოცნების წინასაარჩევნო საქმიანობა, როგორც ჩანს, ნამდვილად მარტო ევროპისა კი არა, იქნებ მსოფლიოს გასაკვირი დემოკრატიაც მივიღოთ!!!

მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, საქართველომ, ქართველმა ხალხმა? როდემდე გამოვიჭედოთ ყურები ცხვრის ფარაში შესავარდნად ნაბულზე შემდგარი მგლის თავზე წმინდა წერილის კითხვით?!

გურამ წიკლაური

ბიძინა ივანიშვილი: სამწუხაროდ, მხოლოდ საჩხერეში აღინიშნა დემოგრაფიული ზრდა!

აფხაზებთან საქმიანი წინადადება მაქვს...

საქართველოს ექს-პრემიერი ბიძინა ივანიშვილი აფხაზურ მხარეს მაღალი კლასის სასტუმროსა და ბოტანიკური ბაღის მშენებლობას სთავაზობს.

ამის შესახებ ივანიშვილმა ქვემო ქართლში, რუსთავში განაცხადა, სადაც მედიასთან შეხვედრა გაიმართა.

„დღეს განმუხურში გაიხსნება მშენებლობა. იქ თანაინვესტირების ფონდის დაფინანსებით აშენდება უნიკალური სასტუმრო, ყველაზე მაღალი ხაზის. სასტუმროს უკან აშენდება ბოტანიკური ბაღი, რომელსაც ფონდი „ქართუ“ დააფინანსებს. ბოტანიკური ბაღი იყო ჩემი იდეა. გარდა იმისა, რომ რეკრეაციული ზონაა, ვფიქრობ, კარგი ბოტანიკური ბაღი აშენდება. ამასთან დაკავშირებით მინდოდა, შეთავაზება გამეკეთებინა ჩვენი აფხაზი ძმებისთვის, რომ გამყოფ ხაზს იქითაც ვთავაზობ საქმიან წინადადებას, რომ ასეთივე კლასის სასტუმროს ავაშენებდი, თუ მათი კეთილი ნება იქნება და ასევე, გავაგრძელებდი ბოტანიკურ ბაღს გამყოფ ხაზს იქით. მოგება მოხმარდებოდა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას. ამით მინდოდა, ჩემი წვლილი შემეტანა ჩვენი ურთიერთობის აღდგენაში და გარკვეული საფუძველი ჩაყროდა ნდობის აღდგენას“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, იყო მცდელობა აფხაზური მხარისთვის ეს სიახლე მიეწვდინათ, თუმცა არ იცის, როგორი რეაქცია იყო.

„როგორც მე ვიცი, ვერ მოხდა შეჯერება ამ საკითხის, მაგრამ წინადადება იმდენად ჰუმანური და მეგობრულია, რომ მე არ ვფიქრობ, რომ ამას პოზიტიურის გარდა, სხვა რაიმე შეფასებები მოჰყვეს“, – დასძინა ივანიშვილმა.

ჩვენი წინაპრისთვის ნავი საწნახელი იყო

– როდესაც ქართულ ფენომენზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა შევეხოთ ვაზის კულტურას, რაც ასევე ჩვენი ცხოვრების წესის და ჩვენი მსოფლმხედველობის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანთაგანია. შემთხვევით არ არის, რომ საქართველოში სწორედ ვაზის ჯვრით შემოვიდა ქრისტიანობა, რაც ჩვენი იდენტობის უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელია. ნახევრად ხუმრობით ვიტყვი, თუმცა, შეიძლება, ეს არც ისე შორს იყოს სიმართლისგან – სადაც კი ადამიანმა ნავი გათალა, მაშინვე სხვა ქვეყნებს მიაშურა. ნავმა მხოლოდ ქართველი მიაჯაჭვა საკუთარ მიწა-წყალს, რადგან ჩვენი წინაპრისთვის ნავი საწნახელი იყო, რაშიც ღვინოს წურავდა და სხვაგან წასვლას, შინ სტუმრის ლოდინს ამჯობინებდა, – თქვა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

მივესალმებოდი ღარიბაშვილის პრეზიდენტობას

დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, შეიძლება მანამდეც მოისურვოს ირაკლიმ გამოჩენა, მივესალმებოდი ამას – ასე უპასუხა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტის კითხვას ირაკლი ღარიბაშვილს საპრეზიდენტო კანდიდატად დაუჭერდა თუ არა მხარს.

როგორც ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, ირაკლი ღარიბაშვილი ღირსეულად, გამარჯვებული წავიდა.

„რატომაც არა, თუმცა შორსაა ჯერ არჩევნები. ამ თემაზე მე არავისთან, მათ შორის არც ირაკლისთან მსჯელობა არ მქონია. ვფიქრობ, ძალიან ნაადრევია. ირაკლი ღარიბაშვილს შეუძლია, საქართველოს პოლიტიკაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს უახლოეს მომავალში და უფრო შორსაც. ახალგაზრდა კაცია,. ღირსეულად ემსახურა თავის ქვეყანას და ღირსეულად წავიდა, გამარჯვებული კაცი წავიდა და არა დამარცხებული, იძულებით. ხშირად ვკითხულობთ ერთმანეთს, ვეხმიანებით. ჩვენს მეუღლეებსაც აქვთ ურთიერთობა ერთმანეთში. ბავშვი მონათლა რამდენიმე დღის წინათ და იქ გვქონდა საუბარი. ბერა ერთ-ერთი ბავშვის ნათლიაა“, – განაცხადა ივანიშვილმა.

მარგველაშვილს ვეუბნებოდი, კონსტიტუცია მანამდე უნდა წაგეკითხა-მეთქი...

„რაც შეეხება პრეზიდენტის დაპირებებს, მან არც თავში იცოდა რა უფლებები ექნებოდა და დღესაც არ ესმის, სამწუხაროდ და საუბედუროდ,“ – განაცხადა ექსპრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა.

ექსპრემიერს პრეზიდენტ მარგველაშვილის ის დაპირება შეახსენეს, რომელიც მარგველაშვილმა პრეზიდენტად არჩევამდე თეთრიწყაროს რაიონში გასცა. საქმე 2013 წელს დახურული საავადმყოფოს აღდგენას ეხებოდა.

„ჯანდაცვა არ არის მისი სფერო. პრეზიდენტის სფერო არ არის საავადმყოფოს აშენება ან ჯანდაცვის მიხედვა. ეს მთავრობის საქმეა და თუ დარღვევაა, მთავრობას უნდა მოვთხოვოთ პასუხი. მანამდეც მქონდა საუბარი მასთან, რომ კონსტიტუცია მანამდე უნდა წაგეკითხა-მეთქი. არჩევნები რომ დამთავრდა და მოვიდა, ყველაფრის მართვა უნდოდა და ეს იყო პრობლემა“, – განაცხადა ივანიშვილმა.

ნათელაშვილი ტიპური ყვარყვარეა,საქართველოს მოღალატეებიდან ფულს იღებდა

„ნათელაშვილი ტიპური ყვარყვარეა“ – აცხადებს ბიძინა ივანიშვილი. ივანიშვილმა გვარამია-ნათელაშვილის ძველი ურთიერთობაც გაიხსენა:

„ნათელაშვილი ეტალონია „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის, ვინც ოდესაში იმყოფება. ტიპური ყვარყვარეა. ესაა ანტიპატრიოტული დამოკიდებულება. სამშობლო მარტო მიწა, ბაღი და ვენახი არ არის, ხალხია. მათი მიზანია, ხალხი როგორ მოატყუონ და შეცდომაში შეიყვანონ. ეტა-

ლონად მაინც ნათელაშვილი გვეხატება, რომელიც ტიპური ყვარყვარეა. ყვარყვარე კომიკური ტიპია, ოღონდ, კომიკურობაში ნუ ჩავრჩებით, რადგან ეს უდიდესი აგრესიისა და სიბოროტის სიმბოლოა.

გვარამიას მთავარი გმირი ნათელაშვილი გახდა, რომელიც თავად აჩვენეს, რომ ჯაშუშებიდან, საქართველოს მოღალატეებიდან ფულს იღებდა, სამი დღე სარდაფში იმალებოდა, ბოლოს რომ მოვიკითხე, მკლავებში ჩაიგორეს, ამის მერე ათამაშებდნენ, დღეს ამერიკაში ვოიაჟებს უკეთებენ, „რუსთავი 2“-დან არ ჩამოდის, ყველაზე მაგარი პიარი გაუკეთეს, სია „ნაცების“ საყვარელი ხალხით დაუკომპლექტეს და უბერავენ... უკაცრავად!

გვარამია მას აგინებდა, ახლა კი, მისი საყვარელი გმირია და ერთის და მეორეს სახე არიან. ქვეყანა არ უყვართ, თუ ქვეყანა უყვართ, კაცს როგორ შეიძლება სიყვარულში გაეჯიბრო? სააკაშვილი ვერ მოდის, მაგრამ ნათელაშვილი მშვენივრად ჰყავთ... იგივე რიტორიკა, იგივე დამოკიდებულება აქვს ტიპური ყვარყვარეა. ნათელაშვილი ისევ გაიცოცხლეს და ეს არის ყვარყვარიზმი და არა პატრიოტიზმი“, – განაცხადა ივანიშვილმა.

სად ჩამომსვლელია, ეგ საცოდავი, ლიფტში ეშინია, გაუბედურებული ზის ოდესაში

„საცოდავები“, „გაუბედურებულები“ – ასე მოიხსენიებს ბიძინა ივანიშვილი „ნაციონალურ მოძრაობასა“ და მიხეილ სააკაშვილს და მოსახლეობას მოუწოდებს, სააკაშვილის მიერ დაანონსებული წარღვნა ნუ დაძაბავთ:

„მოსახლეობას მისი ნათქვამი წარღვნა ნუ დაძაბავს. მგონი, აქცენტს ისევ საკუთარ გუნდზე აკეთებს, რომ არ ჩამოეშალოს და შეამაგროს, ჩამოვალ და საოცრებებს მოვახდენო. სად ჩამომსვლელია, ეგ საცოდავი, ლიფტში ეშინია დახურული სივრცის, არ გაიჭედოსო. კარგად იცის, ეგრევე შეიყვანენ. ეგ რომელი წარღვნით და დემოკრატიის აღზევებით გვემუქრება? თავისიანებს ამძაფრებს, რომ თუ გაგვიყალბეს, ამას ვიზამთ, იმას ვიზამთო.... როგორ შეიძლება, რომ ხელისუფლებამ ეს თავში მაინც გაივლოს? თვითონაც ძალიან კარგად იციან, რომ არაფრის შანსი არ აქვთ.

მიშას მეუღლემ თქვა, რომ ჩემი მეუღლე ისეთი კაცი იყო, ხალხს მისი უნდა ეშინოდესო. ახლა ნუღარ გეშინიათ, თვალებში ჩავხედეო. მაგათგან ცინიზმი მოდის, მაგრამ ეს ყველაფერი უსუსურობის და იმ გაუსაძლისი მდგომარეობის შედეგია, სადაც არიან“, – განაცხადა ყოფილმა პრემიერმა.

„რუსთავი-2“-ს უნდოდა ჩემი პასუხიდან ამოეჭრა, რომ „ნაციონალებს“ გამარჯვებას გავუფორმებდით...

ბიძინა ივანიშვილი ისევ „რუსთავი-2“-ს აკრიტიკებს და აცხადებს, რომ მას ინტრიგნულ კითხვებს უსვამენ, თუმცა ის „კარგად პასუხობს“.

„რუსთავი-2“-მა დამისვა კითხვა, მიშა უფრო დიდი პატრიორტია თუ თქვენო? – ავერიდე მე. იმას კი არ მეკითხებოდნენ პატრიოტიზმი რა არისო და მისი განმარტება. უბრალოდ, ისინი ცდილობენ, ივანიშვილი და სააკაშვილი გადმოიტანონ ერთ სიბრტყეში.

სამეგრელოში მოხდა კიდევ ერთი ფაქტი... ნახეთ, როგორი ტელევიზიაა, საოცარია, როგორ აქვთ დალაგებული. მეორე კითხვას დაჟინებით მეკითხებოდა, თუ გაიმარჯვებს „ნაციონალური მოძრაობა“, გაფორმდება თუ არა ეს რევოლუციისა და ძალადობის გარეშეო. მე ვუპასუხე, რომ ვერ გაიმარჯვებს „ნაციონალები“-მეთქი. ერთადერთი ეს უნდოდა, რომ მეთქვა „ნაციონალური მოძრაობა“ თუ გაიმარჯვებს, ჩვენ ყველაფერს გავუფორმებთ-მეთქი და მერე უნდა ამოეჭრათ ეს. ჩადებული აქვთ თავში როგორ გააფორმონ.

„რუსთავი- 2“ აღარ მოდის ჩემთან შეკითხვებით იმიტომ, რომ ნახა, რომ მე ეგენი შევიცანი. ისეთ კითხვებს მისვამენ, რომ ინტრიგნული სათაურები გამოიტანონ და კარგად ვპასუხობ. კითხვაც არ აქვთ, ჩამჭრელი კითხვებიც არ აქვთ, რაც მათ ჰგონიათ. მოწვევა ვთხოვე – ვერ მიმიწვიეს, ვერ გაბედეს, რაღაც მიბლანდ-მობლანდეს. არც ერთ ჩემს შეხვედრაზე არ მოდიან,“ – განაცხადა ივანიშვილმა.

არა მგონია, შემდგომი 4 წელი ეყოს სოციალურად დაუცველების პრობლემების სრულად აღმოფხვრას

არა მგონია, შემდგომი ოთხი წელი ეყოს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრობლემების სრულად აღმოფხვრას, თუმცა საბავშვო ბაღების პრობლემები დიდი ალბათობით უნდა გადაიჭრას, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტის კითხვაზე, რომელიც ქვემო ქართლში უსახლკაროთა მძიმე მდგომარეობას და რუსთავში საბავშვო ბაღების სიმცირეს ეხებოდა.

„მოლოდინი იყო გადაჭარბებული. არა მგონია, შემდგომი 4 წელიწადი ეყოფა, რომ სრულად აღმოიფხვრას სოციალურად დაუცველების პრობლემები. საბავშვო ბაღების პრობლემები დიდი ალბათობით უნდა გადაიჭრას და ამაზე საუბარი აღარ იქნება შემდგომ ოთხ წელიწადში. ძალიან ბევრი გაკეთდა ამ მიმართულებით და პრინციპული გარდატეხა, გარდაქმნები მოხდა, თუ გინდ დევნილებთან დაკავშირებით. ნახეთ, სამინისტრომ რა რესურსები დახარჯა, რა კეთდებოდა და რა კეთდება დღეს, მაგრამ ის, რომ ოთხ წელიწადში ეს გადაიჭრებოდა და ეს პრობლემა პრინციპულად გადაწყდება, საქართველოში ყველას ეშველება, მე არასდროს მითქვამს“, – განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, რუსთავში ძალიან ბევრი პრობლემაა, თუმცა ოთხი წელი საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ხარისხობრივად შეიცვალოს დევნილების მდგომარეობა.

მხოლოდ საჩხერეში აღინიშნა დემოგრაფიული ზრდა

ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ხელისუფლებამ უნდა წაახალისოს მრავალშვილიანები. მან ასევე გულისტკივილით თქვა, რომ დემოგრაფიული ზრდა მხოლოდ საჩხერეში აღინიშნა.

„მე დავიწყე დახმარება სამშვილიანი, ოთხშვილიანი, ხუთშვილიანი ოჯახების და დაეტყო მოსახლეობას“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა და აღნიშნა, რომ მსგავსი წახალისება მთავრობამ მთელ საქართველოში უნდა შემოიღოს.

„სატრაბახოდ არ მინდა, მაგრამ საჩხერეში დავიწყე ასეთი რამის გაკეთება და ოტია იოსელიანმა გააკეთა ამაზე რეაქცია. ზრდა მარტო საჩხერეში აღინიშნა. დემოგრაფიული პრობლემები გვაქვს. ბიუჯეტში გაელვებები იყო. მესამე თუ მეოთხე შვილის დაბადებაზე თანხით ეხმარებიან ოჯახებს, მომავალში ბიუჯეტი გაგვეზრდება და ამაზე აუცილებლად ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს“, – განაცხადა ივანიშვილმა.

ლირსებისა და ზნეობის კვალდაკვალ...

წერილი ზუგდიდელებს

დიდი ბედნიერება და უფლის საჩუქარია, ღვთისმშობლის ქვეყნის შვილები რომ ვართ, მაგრამ, ღმერთო, გვაპატიე, ხშირად არ გვიმართლებს, ჩავარდნები გვაქვს რაღაც-რაღაცებში, განსაკუთრებით პრეზიდენტს ვერ ვირჩევთ, ვცდებით, ან იმას არ გვარჩევინებენ, ვინც გვინდა.

შეცდომას რომ არ გვპატიობს უფალი, გვიან ვხვდებით!...

არადა, პრეზიდენტობა, რბილად რომ ვთქვათ, სიყვარულივითაა – ყველას გვინდა! ერთ-ერთი პრეზიდენტობის უცვლელი კანდიდატი, ბატონი ნათელაშვილისა არ იყოს, კარგა ხანია გვამუნათებს – ერთხელ მაინც მანდეთ ქვეყანაო!

ერთი შეხედვით, ცუდი არაფერია ამაში, ცუდი ის არის, ყველას არ შეგვხვდება ეს „ბედნიერება!“

აქ უხერხული ის არის, რა ვუყოთ პრეზიდენტობის „ზღვა“ მომლოდინეთ? არ იტყვიან, ვისზე ნაკლები ვართ, რიგში მაინც ჩაგვაყენეთ! როგორი ამბავია, ნახევარი საქართველო პრეზიდენტობის მოლოდინშია, იმდენი მსურველია, იმისი მეოთხედი რომ დავაკმაყოფილოთ, ერთი არჩევითაც ვანდოთ ქვეყანა, ბიბლიური მათუსალასი არ იყოს, 7-8 საუკუნე უნდა გავუხანგრძლივოთ ამ ადამიანთა რიცხვს სიცოცხლე!

არ გამოგვივა ეს საქმე!

კი ბატონო, თუ რამე მოსაწონი გვაქვს დღეს, ჩვენი ჯანდაცვაა, მაგრამ ეს მის კარგ მინისტრს, ბატონ სერგეენკოსაც გაუჭირდება.

ამიტომ არ გამოვა, თორემ ნახევარმა საქართველომ პრეზიდენტობა თუ იზეიმა, გვარი კი არა, სანათესავო და უბანი არ დარჩება გაუხარელი.

ბევრს არც დღევანდელი პრეზიდენტი მოსდის თვალში...

კაცმა რომ თქვას, რას ვერჩით, მითაჟამინდელი ანეკდოტისა არ იყოს – არის თავისთვის და მაწონს ჭამს!...

ერთი საინტერესო, უფრო – გახმაურებული წერილით დაგვამახსოვრა თავი. „ნიჩურტა! – ჩვენ ქართველები ვართ“. თუმცა, საეჭვო დაკვირვებებია, ქართველი კაცის ბუნებასა და ისტორიას, წარსულსა და მომავალს აცდენილი... უფრო საკუთარი პორტრეტის ხატვით და სულის აფიშირებითა გართული...

ვერ იტყვი, არ გამოუვიდაო..

არც ესაა პატარა საქმე!

ამ საკითხთან დაკავშირებით დისკუსიის გამართვაც შეიძლება.

ჩვენ მაინც ვიტყვით: „ნიჩურტა!“ – პრეზიდენტებში არ გვიმართლებს!

* * *

მე თვალებში ჩავხედე მიშასო, ბრძანა ანაკლიის ზღვის სანაპიროს ფონზე ექსპრეზიდენტის თანამეცხედრემ.

ქალი რომ კაცს თვალებში ჩახედავს, დიდებულია! არანაკლებ მშვენიერია და ამაღელვებელი, პირიქით თუა! მამრი მაინც მამრია, ზღვა სურვილები ირეკლება კაცის ამ ინტიმურ მზერაში, თუ გენდერული ბალანსის დარღვევაში არ ჩაგვითვლიან არასამთავრობოები!

თუ გულწრფელები ვიქნებით, მარტო თვალებში ჩახედვა არ უშველის ამ საქმეს, კი ბატონო, ჩავხედოთ, მაგრამ სასურველია ფსიქიატრის ჩაქუჩზე (უბრალო ფანქარიც გამოდგება) გავაყოლებინოთ მზერა პაციენტს და შედეგიც აუცილებლად გვექნება სწორი დიაგნოზისათვის.

სანდრა რულოვსის დიდ შესაძლებლობებში ეჭვი არავის ეპარება, დასტაქრობაც ეხერხება, ალბათ. ჩვენ ვინა ვართ, როცა მის შესაძლებლობებს ავადსახსენებელი სუსიც ვერ არკვევს თურმე.

ჩვენ ეს არ გვაწუხებს.

მართალია, ქალბატონი რულოვსი საქართველოს ექსპრეზიდენტის სააკაშვილის მეუღლეა, მაგრამ ჩვენ, ზუგდიდელ კალანდიებს – ჩვენი მშობლიური კუთხის ისტორიისა და ეთნოგრაფიის არც თუ ისე ცუდად მცოდნეთ, ისიც ვერ გაგვირკვევია, ვინ არის სანდრა და რატომ არის ჩვენი რძალი, ვთქვათ, ეკატერინე ჭავჭავაძეობას რომ ჩემულობს.

ახლა, არჩევნების წინა კვირისთვის, დიდი ფაციფუცია თურმე. სანდრას უმცროსი ვაჟი ნიკოლოზი მეგრული „ოუ ნანას“ სწავლობს და გადაწყვეტილი აქვთ დედა-შვილმა სოფელ-სოფელ უნდა იარონ მეალილოებივით კორცხელის სანახებში...

ერთ პატარა კორექტივს შევიტანდით. ჯობდა, ფეხზეც გაეხადათ, გენიოსი პოეტისა არ იყოს: „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გაიარე, რაა მამული“!

მეტი ეფექტის მომტანი იქნებოდა!

რახან ყბადაღებული კორცხელი ვახსენეთ, იმ გახმაურებულ ინციდენტზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

ნიჭიერად დადგმული მიზანსცენა იყო.

ტყუილია, ასეთი სპექტაკლები დედაქალაქიდან არ იმართება. იქ, ადგილზე, უფრო ზუსტად, კულისებში უნდა იყო! იყვნენ კიდეც. მართალია, ერთი-ორი მწარე მუშტი მოხვდა ბოკერიას, ცოტა გაუჭირდა, ჩაიმუხლა კიდეც, მაგრამ რომ წამოდგა თუ წამოაყენეს, „რუბიკონის“ გადამლახავი მხედარმთავრის ტკბილ-მწარე ღიმილი ეფინა მწყაზარ პირ-სახეზე...

მეგრელების მოტყუება გაჭირდება, გამოცდილი ხალხიაო, ირწმუნებიან ერთნი...

ეშმაკზე სამი დღით ადრეა მეგრელი დაბადებული, სანდრას მოსატყუებელი კბილები გამოცვლილი აქვსო, ასეთ შეფასებას „ფეისბუქის“ გვერდზე გადავეყარეთ. არც მასეა საქმე...

ხალხნი ვართ და უნდა ვაღიაროთ, მეგრელებიც ვცდებით, სამწუხაროდ! მეტსაც გეტყვით, არც ისე ვქუხვართ, როგორც გვსახავენ და წარმოუდგენიათ ზოგ-ზოგიერთებს. ჩვენ თუ გვკითხავთ, ზედმეტად მიმდობი, მიამიტი და გულუბრყვილო ხალხი ვართ, ჯიმაგე, მეგრელები, როგორც სხვა და დანარჩენი ქართველები.

მეგრულ სიმღერაში არის დიდი სევდა, მაგრამ არანაკლები ნაღველი და ტკივილია მის ბუნებრივ ქცევასა და ყოფაში თუ ცხოვრების წესში... ამის ანტურაჟად მისი ოდა-სახლის რიკულები და ეზო-კარიც გამოდგება... აი, ამის ანარეკლია ის სიმღერაც, რომელიც ყველას ერთნაირად მოსწონს, ხან ცისკენ რომ მიიწევს უსასრულოდ და ხან დაბლა – ჭაობისფრად ეფინება სივრცესა და გარემოს...

ხაინდრავას ფილმი „ჰეროკრატია“ მხატვრული არ არის, ის სუფთა დოკუმენტურია. მის დოკუმენტურობასა და უტყუარობას ათი ათასობით მოწმე ჰყავს... ამ ფილმში რა საშინელებებიც ხდება და რარიგ უწმინდურებსაც ეძღვნება ეს ფილმი, მათი საშველი არ იქნება... მეტიც, მათ მშვიდი სიკვდილი არ უწერიათ... საკუთარ შვილებსა და შვილიშვილებისგან (თუ ნორმალურ სკოლაში, ოჯახში, ქვეყანაში მოუწიათ ცხოვრებამ) საფლავებიდან ამოთხრა მოუწევთ.

ასეთი სისასტიკისა და სიბინძურის ჩამდენები კიდევ დიდ გულზე არიან და ხელისუფლებაში უკან მობრუნებაზე ფიქრობენ. ლამის ჩვენ მოგვახდევინონ ბოდიში, 2012 წელს კიდევ ერთხელ რომ არ ავირჩიეთ.

კი, თვალებში ჩახედა სანდრამ „გამოსწორებულ“ მიშას და საკუთარი ხალხის ზღვა სიყვარული დაინახა...

ამის გახსენებაზე ერთ ლირიკულ გადახვევას გავაკეთებთ.

წინა საუკუნის ორმოცდაათიან წლებში იყო ერთი ცნობილი ლიტერატორი ჟ. ბ. საკმაოდ ნიჭიერი ფილოლოგი და უფრო ნიჭიერი თაღლითიც.

ის დროა, დიდი ქართველი პოეტი გიორგი ლეონიძე ლიტერატურული მუზეუმის დირექტორია.

ერთხელ კაბინეტში შევიდა ლეონიძესთან და ძველისძველი, ბენძღი ფეხსაცმელი მაგიდაზე დაუდო – ნიკოლოზ ბარათაშვილის ბათინკებიაო! გაგიჟდა ბატონი გიორგი და უკან არ წაიღოს, არ დამღუპოსო და იქვე ათასი მანეთი გამოუწერა... ჟ. ბ. ჩავიდა ბუღალტერიაში, აიღო ფული, გამოსამშვიდობებლად შეიხედა დირექტორთან და მიაძახა: – ახლა წავედი ვაჟას კალოშებზეო!...

გიორგი გონს მოვიდა, მაგრამ ჟ. ბ. არ გაუჩერდა, გაქრა...

მაინც არ უმართლებდა ჟ.ბ-ს. ერთიორჯერ მსგავსი თუ უარესი თაღლითობებისთვის ციხეშიც მოხვდა...

ბოლოს, ციხიდან ახალგამოსულმა ნაცნობი მწერლები, ამჯერად საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს – ირაკლი აბაშიძეს მიუგზავნა, იქნებ რაიმე სამსახური მომცესო.

ირაკლიმ სამდივნო მოიწვია. ერთ-ერთმა მდივანმა თავი გამოიდო – ნიჭიერი კაცია ჟ. ბ. გამოსწორებულია, გამოსწორებულიო, იძახა...

ბატონი ირაკლი გაბრაზდა: კარგია, ჟ-ი რომ გამოსწორდა, მაგრამ გამოსწორებული ჟ-ი ვის რად უნდაო?!!..

თათბირი დასრულდა.

მართლაც, ძნელი წარმოსადგენი იყო, გამოსწორებული ჟ-ი... თფუი ეშმაკს, მიუხედავად ქალის დიდი პატივისცემისა, „გამოსწორებული“ მიშა და მისი ნდობა!...

* * *

ძვირფასო ზუგდიდელებო!

როგორც ზუგდიდელები, როგორც მშობლიური ქალაქის გულშემატკივრები მოკრძალებით მოგმართავთ.

ვინც კარგად გვიცნობთ, იცით ჩვენი ხელობა; ფიქრისა და წიგნის კაცები ვიყავით და ვართ. სიმდიდრე, ჩვენი გულწრფელი მწერლობის გარდა, ასაკი და ბიოგრაფიაა! ვინც არ გვიცნობთ, დარწმუნებულები ვართ, გვარ-სახელი მაინც გაგიგიათ. იმასაც მოგახსენებთ, ათასი რეჟიმისთვის გაგვიძლია და შეურაცხადი სააკაშვილის ფაშიზმიც რომ მობრუნდეს, ჩვენ მაინც ჩვენ ვიქნებით, ისე ვიცხოვრებთ, როგორც გვიცხოვრია; ჩრდილში, პატიოსნად, ღარიბულად და ლიტერატურით... ამისთვის თუ დავისჯებით, არც ეს არის ახალი და ტრაგიკული! უმთავრესი ის არის, იმ სიმართლით ჩავიდეთ საფლავში, რაცა გვაქვს და რისიც არ გვრცხვენია!...

იმისი თქმა გვინდა, რომ მხოლოდ საქართველოს დღევანდელი დღე კი არა, მისი მომავალი გვაღელვებს და გვტკივა.

ღმერთმა დაგვიფაროს და ვთქვათ, ნაციონალების „ავი ზმანება“ ახდა. სამოქალაქო ომი გარანტირებული გვაქვს. გულში ჩაიხედეთ და დაფიქრდით, საქართველო გაუძლებს მეორე სამოქალაქო ომს?!

ჩვენ გვინდა საქართველო, რომელიც უნდა გაბრწყინდეს და მის ნათელ მომავალში, როგორც დასაბამიდან და ყოველთვის, სამეგრელოს როლი და სიტყვა მისი ღირსებისა და ზნეობის ადეკვატური იყოს!

ეს როლი სამეგრელოს მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად გამოკვეთილი ჰქონდა მარადის.

ეს არ არის ლიტონი სიტყვა...

ჩვენმა დიდმა წინაპრებმა ასე იცხოვრეს.

ჩვენ ყველა ერთად მათი ნატეხები ვართ.

ჩვენი თხოვნაა, ახალი, მოდელირებული ფარსის მონაწილეები ნუ გავხდებით.

ეს ის სამეგრელო არ იქნება, რომელზეც დიდმა ილიამ ცაიშში, იონა მეუნარგიას ეზოში ბრძანა: „ჩამოვედი სამეგრელოში და საქართველო ვნახე – ნამდვილი საქართველო!“

ამ ქალაქში დაიბადა იონა მეუნარგია, გვანჯი ჩიქოვანი და ჩვენი დიდი თანამედროვე ნონა გაფრინდაშვილი...

* * *

...**ნაცები** ყველაფერზე მიდიან, ლამის სულსა და გულს დებენ იმაში, რომ ისევ ხელოვნურ ჭაობში ჩაგვაბრუნონ.

არ გავბრიყვდეთ და არ დავიჯეროთ.

ეს არის ჩვენი მოკრძალებული და ერთადერთი თხოვნა.

გენო კალანდია,
პოეტი, შოთა რუსთაველისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი;

ზაურ კალანდია,
მწერალი, საქართველოს სახელმწიფო და ილია ჭავჭავაძის პრემიების ლაურეატი.

„თავისუფალი ზონის“ წევრები სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას ამხელენ

როგორც თავისუფალი ზონის გლდანის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ბესო კალაძემ ორგანიზაციის წევრებთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მან მიხეილ სააკაშვილისგან პირადად მიიღო დესტაბილიზაციის მოწყობის დავალება, რაც არჩევნების შემდეგ, სპეციალურად შექმნილი ორგანიზაცია – „საქართველოს ერთგულების სახელით“, იგეგმებოდა.

„თავისუფალი ზონის შეკრებებზე ზოგიერთი ლიდერი ამბობდა, რომ თუ ნაციონალურ მოძრაობას სურდა ხელისუფლებაში დაბრუნება, ერთადერთი გზა იქნებოდა ქუჩა და ქუჩაში მიმდინარე პროცესები, არჩევნები იქნებოდა წაგებული, ეს იყო ცალსახა. ნაციონალურ მოძრაობაში გაჩნდა კონკრეტული იდეა, კონკრეტული დავალებები უკრაინიდან, რომ შექმნილიყო სპეციალური ორგანიზაცია – „საქართველოს ერთგულების სახელით“, რომლის მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო დესტაბილიზაციის მოწყობა.

რამდენიმე დღის წინათ ვიყავი უკრაინაში, შევხვდი მიხეილ სააკაშვილს და გულისტკივილი გამოვხატე მოსალოდნელ არეულობასთან დაკავშირებით. მისგან მივიღე პასუხი, რომ ჩემი რესურსი და „თავისუფალი ზონის“ რესურსი მას არ ჭირდება საარჩევნოდ და ეს ხალხი მას ჭირდება არჩევნების შემდგომ, ქვეყანაში არეულობის მოსაწყობად. მიხეილ სააკაშილმა გვითხრა, რომ დანარჩენ ინსტრუქციებს შუამავლის მეშვეობით მივიღებდით და ჩვენი მიზანი იქნებოდა, არჩევნების შემდეგ, ვითომ არჩევნების გაყალბების სახელით დაგვეწყო საპროტესტო აქციები და ხელისუფლება იძულებული გაგვეხადა, ჩვენი აქციებით და ქმედებებით მომხდარიყო აქციის დაშლა, შემდეგ, „რუსთავი-2“-ის მეშვეობით მოუწოდებდნენ ხალხს გამოსულიყვნენ ქუჩაში. ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო სახელმწიფო უწყებების ბლოკირება და ჩვენი მთავარი მიზანი იყო პროვოკაციების მოწყობა და ამ ყველაფერს შეიძლება მოჰყოლოდა მსხვერპლიც. მე სააკაშვილს განვუცხადე თანხმობა, რადგან მსურდა საქართველოში მშვიდობიანად დაბრუნება, მაგრამ ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია ეს გეგმები“, – განაცხადა ორგანიზაციის წევრმა.



ბოდიშა სანგრებთან

ჟურნალისტის ნანახი და განცდილი

„...საკითხის დასმა, რომ აფხაზეთი შეიძლება იყოს დამოუკიდებელი და უნდა გამოეყოს საქართველოს, მიგვიყვანდა იქამდე, რომ აფხაზეთი დაიშლებოდა, როგორც ბავშვის ხელით აგებული ძაღლადის ხუხულა!“

ნესტორ ლაკობა.

...მახსოვს, ჩემს ბავშვობაში, ჯვარში ხმა რომ დაირხეოდა, აფხაზეთიდან სტუმრები ჩამოგვდიანო, მთელი ჯვარი ზეიმობდა იმ დღეებში. იყო ღვინის სმა და ჩონგური, იყო პეწი და ეშხი, იყო ჯირითი და მარულა, იყო ძმობა და სიყვარული, ნათელ-მირონი და მორდუ-ძუძუმტეობა აცისკროვნებდა სამეგრელოსა და აფხაზეთს...

მერე, აქეთურები ეწვეოდნენ აფხაზებს და ზამთრის გრძელ ღამეებში ძმობისა და სტუმარ-მასპინძლობის ბალადას გვიყვებოდნენ წადილად თვალებდაჭყეტილ ბალღებს დედები და მამები, ბებიები და ბაბუები...

ასე იყო ფიფიებთან თუ არშბებთან, ჭანტურიებთან თუ ჭანბებთან, მანიებთან თუ თარბებთან, დადიანებთან თუ შარვაშიძეებთან.

და იყო ბავშვობა ლამაზი, და იყო ქვეყანა ლამაზი, და იყო სიყვარული და ერთობა!

...ცოცხალი რომ ყოფილიყო, ნეტავი იმ დღესო, იტყოდა ბაბუაჩემი, ყამუ ფიფია.

...მერე და მერე, როცა თანდათან შავი ღრუბელი წამოიმართა გუდაუთას თუ სოხუმს, ზუგდიდსა თუ ოჩამჩირეს!

ცოცხალი რომ ყოფილიყო, რას მეტყოდა, ნეტავი, ყამუ ფიფია დღეს?

ქვეშეცნეულად მაინც ვიცი, რასაც მეტყოდა წინაპარი, ოღონდ ის კი არ ვიცი, რას ვეტყოდი მე მას, თვითონ უკვე სიჭარმაგეში შესული კაცი, როგორ გავიმართლებდი თავს?!

მხოლოდ ერთს ვეტყოდი, ალბათ: „იარაღი არ მეჭირა, ბაბუ!“ – და არც ის ვიცი, გამამართლებს თუ გამამტყუნებს ეს „იარაღი არ მეჭირა, ბაბუ!“

შავი ბორჯალი დაგვატყდა თავს!

რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს?!

დგას კითხვის ნიშანი და მე ვერც შევეცდები პასუხის გაცემას მასზე. მე კი არა, ვერაკაცი ვერ გასცემს გულდინჯ პასუხს ჯერ ისევ. ამიტომ ისა სჯობს, აქედანვე მივაპყროთ გონი და ყური გოდებას სანგრის აქეთაც და სანგრის იქითაც, ძმებს, – ერთნაირად დაღდასმულთ და სისხლდადენილთ!

მოდით, პოლიტიკოსებს დროებით მაინც შევატოვოთ თავიანთი ცოდვები, ღმერთი და დრო თავისას მიუზღავს ყველას, ჩვენ კი, ვეფხისა და მოყმის ლეგენდისა არ იყოს, ერთად ვიგლოვოთ ერთიცა და მეორეც... ამიტომ და მხოლოდ ამიტომ, მოვიკრიბოთ ნებისყოფა და მოვუთხროთ ერთმანეთს „სიმწარე ცრემლთა ჩვენთა“, რადგან გულში ჩაგუბებული ბალღამი ერთიათად დაგვითრგუნავს გონებას! მოვუოხოთ გული ერთმანეთს!

ჯერ აქეთა სანგრებიდან დავიწყებ, მერე იქითაც გადავალ!

* * *

...ამ ადამიანებიდან ზოგიერთს სულ სხვა სახელი ჰქვია, სხვა გვარი აქვს, სხვა მისამართი, და მე თუ შევუცვალე იგი, ალბათ, გასაგებია, რატომაც!

თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, რომელი სახელი ჰქვია ჭირს? ჭირს უამრავი სახელი ჰქვია, ერთი სახელით მხოლოდ ლხინს მოიხსენიებენ.

– ქარჩიები თაგილონიდან ვართ, ძირითადად!.. მე და ჩემი ოჯახი გალში ვცხოვრობდით... კარგი მეზობლობა გვქონდა აფხაზებსა და ქართველებს თაგილონში... ნეტავი იმ დღეს!

...მიშა ქარჩიას სადღაც ნათხოვარი ფანერის ნამტვრევებისგან ბუდრუგანა შეუკოწიწებია და სიგარეტსა და ათას წვრილმანს ყიდის ნავთლუღის ბაზარზე. აქ შევხვდი მას!

– ...თავიდან არ წამოვედი, გამიჭირდა წამოსვლა ჩემი მიწიდან, ჩემი სახლიდან... წამოვსულიყავი ნეტავი!.. უფროსი დაია და დისშვილის მეუღლე იქ დამიხვრიტეს. მეორე დაია მიცემეს და იმას გადაჰყვა... ძმაც სვანეთის გზაზე მომიკვდა... მერეც რამდენი მოკვდა აქ, იქიდან გამოყოლილი უბედურებით გულგაგლეჯილი! იცით რა?! ქათმისგულისოდენა გაგვიხდა, ჩვენ, ფუძეს მოწყვეტილ ხალხს, გული... სულ მცირე მოფერება გვახარებს და მცირედმა განჩმაც, შეიძლება გული გაგვიხეთქოს!.. ისიც კი გვწყინს, ლტოლვილიაო, რომ გვეძახიან. ვაჭრობენო, მესმის აქაიქ... რა ვქნათ? კუბოს ფულიც არა აქვს ბევრს... ეჰ, რა საჭიროა წუწუნი, მარა...

...ვერ წამოვედი, იმათ საფლავებს ვერ შეველიე!..

იმ დღეს, მანქანა რომ მოადგა ჩემს ეზოს, ენვერ პატარაია და მე სამალავიდან გამოვედით. არ შეიძლებოდა სხვანაირად, ექვსნი იყვნენ. არა, მხეცებს სულაც არ ჰგავდნენ. შესახედავად რა უჭირდათ, კარგი ბიჭები იყვნენ, მაღლები, ლამაზები. ერთი იყო დაბალი, მათი უფროსი იყო, ეტყობოდა. ჭიშკარში არ იყვნენ შემოსულნი, რომ მანქანა და ოქროულობა მომთხოვეს. არ მქონდა და საიდან მოვუტანდი. დედა შემაგინეს, მარა ახლა რას ვიზამდი... ისროლეს შესაშინებლად. შეგვეშინდა კიდეც. თუმცა ისიც ხომ ვიცი, ასეთ დროს შიში ვერ გიხსნის. ძაღლების თუ შეგეშინდა, გიკბენენ. ა, შემოდით და თუ რამეს ნახავთ, წაიღეთ-მეთქი. ამასობაში ენვერმა მოახერხა და თვალს მიეფარა. ორივეს ერთად ყოფნა არ იყო საჭირო... არა, ჩვენ შენი მოკვლა არ გვინდა, მით უმეტეს მძღოლი ხარ და გამოგვადგებიო, მერე, ვნახოთო... ჩვენ მანქანა და ძვირფასი ნივთები გვინდაო... რუსულად ლაპარაკობდნენ, ეტყობა, აფხაზები არ იყვნენ... ერთს, ა, ამ თითისხელა ჯვარი ეკიდა. ქრისტიანი ყოფილა-მეთქი, გავიფიქრე... ვერაფერი ნახეს ჩემს სახლში. რას ნახავდნენ, რაც არ მქონდა? მე „ოცდაოთხი“ მინდაო, – ერთმა. შენს მეზობელს ხომ არა აქვს სადმე გადამალულიო. არ ვიცი-მეთქი, ვუთხარი... როგორ არ იცი, შენი დედაო... ტყვიამფრქვევით (გრძელლულიანი იყო, რაღაც) სულ დახვრიტა სახლის კედლები... ახლა კი მომკლავენ-მეთქი, გავიფიქრე და შვილიშვილი გამახსენდა პირველად... ოთხი წლის შვილიშვილი მყავს, ხატია ჰქვია. კიდევ კარგი, ისინი მაინც იყვნენ სამშვიდობოს! წამოდიო, მითხრეს და ისევ ეზოში გამიყვანეს. ამ დროს ეზოში ენვერის ძმა, გოგი პატარაია შემოვიდა, ახალგაზრდა კაცი... ეჰ, საწყალი, რა ბიჭი იყო, გოგი!! როგორ, კაცო, იმდენი აფხაზი ძმაკაცი მყავს და ვინ მესვრის ტყვიასო, ამბობდა ხშირად. მოგვიახლოვდა. რაშია საქმე, „ხლოპციო“, ჩვენ ხომ იარაღი არ გვაქვს, რას გვერჩითო, – მიეშინაურა გოგი... ვინ არის შენი „ხლოპციო“, შენი დედაო... შეაგინეს. სათითაოდ ხართ დასახვრეტიო, და ესროლეს, მარა, ეტყობა, მოსაკლავად არა. გადარჩა-მეთქი, გავიფიქრე. მართლა არ ნდომიათ ჩვენი მოკვლა-მეთქი, მომეიმედა. ე, ბიჭო გაჩუმდი და სახლში შედი-მეთქი, დავუძახე გოგის. ზურგით ვიდექი მისკენ. ვინ მოგცა შემობრუნების უფლება. ე, ბიჭო, წადი აქედან-მეთქი, მეგრულად ვუყვირე, იქნებ ვერ გაიგონ-მეთქი. ჩვენ ტი არიოშო, მომვარდა დაბალი რომ იყო, ის, – გრუზინამ ნიეტუ მესტანა ეტომ ზემლეო... მი კაჟდოვო გრუზინა უნიჩტოჟიმ, ა, ტებია ასობა ზასტრელიაემო... ეტოვო სეიჩას პრიკონჩიმო და მიუშვა ტყვიები... მეც მესროლეთ და გამათავეთ-მეთქი, ვიყვირე და შემოვბრუნდი... გოგი ოდის კიბესთან იყო ჩაკეცილი, არ იყო მკვდარი ჯერ. იქნებ გადარჩეს-მეთქი და მისკენ გავიწიე, მარა... ფეხებთან ავტომატი დამიცალეს... საკუთარი სული უფრო თბილი ყოფილა... საუბედუროდ!

მერე, მახსოვს, იმათ მოპარულ მანქანას ვაწვებოდი... არ დაიქოქა. ქუჩაში კიდევ იდგა სამი თუ ოთხი მანქანა, „უიგულები“, „რენო-მოსკვიჩები“... როგორც იქნა დაიქოქა მანქანა. მომაბრუნეს და ჩემს ეზოში შევედით ისევ. ოდის კიბეებთან რომ მივედი, სისხლი დავინახე, კიბეებს მიუყვებოდა. აივანზე ბევრი სისხლი იდგა. „ზალაში“ რომ შევედი... ჩქიმი ცოდა, ახავი!... გოგი სკამლოგინზე იყო გადასვენებული, ცოცხალი იყო ჯერ ისევ... ეტო, სუკა, იშო ჟივოიო, – იღრიალა რომელიღაცამ. იქვე პირსახოცი ეკიდა, კედელზე და მე მას მივვარდი, მინდოდა აუარება სისხლი მაინც ჩამომეწმინდა გოგისთვის... ეს რას უშველიდა, მარა, ხომ იცით... ატაიდიო, იყვირა ერთმა. ნი ატაიდუ-მეთქი, ვიყვირე მეც. მაშინ კონდახი ჩამაზილა გვერდში და... მტერს იმფერი... რვა ტყვია დაახალა, იმ შობელძაღლმა, ისედაც მომაკვდავ კაცს....

...მერე, წავიდნენ. ისევ მოვბრუნდებით და არსად წახვიდე, თორემო... სად უნდა წავსულიყავი, ნეკნებჩალეწილი და ფეხებდასიებული... ენვერს სროლის ხმა გაეგო, რაც იქნება, იქნებაო, უფიქრია და მობრუნდა. რატომ მობრუნდი, ენვერ-მეთქი... შემეშინდა, რომ ენახათ, მასაც მოკლავდნენ, ნამდვილად... ან თვითონ შეაკლავდა თავს... რა მოხდა? სროლის ხმა გავიგე და მადლობა ღმერთს, ცოცხალს რომ გხედავო, მითხრა ენვერმა. მე კი ვარ, ენვერი, ცოცხალი, მარა... გოგი, გოგი... ძლივს ამოვიხრიალე...

...მეტი რა მოგიყვე, ბაბაგე, შენ თვითონ მიხვდები, რა დღეში ჩავარდებოდა ასე, ტყუილუბრალოდ, ყაჩაღურად ძმამოკლულის ძმა! მაინც იყოჩაღა ენვერმა – ერთი მომეხმარე და მერე მე ვიცი, რასაც ვიზამო. მის ეზოში გადავასვენეთ გოგის ცხედარი... მე რისი გადამსვენებელი ვიყავი... დასიებულ გვერდებს და ფეხებს ძლივს მივათრევდი... ვითომ ვეხმარებოდი, თორემ, რა შემეძლო... როგორც შეგვეძლო, ისე გავაპატიოსნეთ და „ადიალაში“ და ცელოფანში გახვეული მივაბარეთ მიწას. მე ვიცი რასაც ვიზამო!.. შენც წამოდი და სადმე სამშვიდობოს გაგიყვანო, მითხრა, მაგრამ სად უნდა ავკიდებოდი... მას თავისი საქმე ჰქონდა... მერე არც მინახავს...

ორიოდე დღეში კვლავ მობრუნდნენ ის ღვთისპირიდან გადავარდნილები... ეჰ, ერთ ავტომატზე გავცვლიდი მთელს ჩემს ავლა-დიდებას. თუმცა, რა ვიცი?... გამოცხადებული ჰქონდათ, – ერთი „აფხაზის“ მოკვლისათვის ასი ქართველი უნდა დაეხვრიტათ, აბა! ჩემი თავი არ მენაღვლებოდა, მარა მათი ამბავი ვიცოდი, მართლა გააკეთებდნენ დანაქადნებს...

მერე სოფელ-სოფელ დამატარებდნენ ამ ტკივილისგან გაუბედურებულ კაცს, ბარითა და ნიჩბით ხელში...

კაკო ხარჩილავას სახლთან რომ მიმიყვანეს, ყველაზე მაღალმა, ჯვარი რომ ეკიდა, იმან მითხრა, შემოდი ახლა ამ სახლში და საქმეს მიხედე, თუ სიცოცხლე გინდაო... ჩემთვის უკვე სულერთი იყო ყველაფერი, მარა რაც იქ ვნახე, საშინელება იყო, – კაკო ხარჩილავა, დედამისი და მისი ნათესავი, გაგრიდან გამოქცეული ახალგაზრდა გოგო, სისხლში ეყარნენ შუა ოთახში.. ვავა, თინეფიში ცოდა, ბაბა! ერთი გავიფიქრე, გამოვტაცებ ამ ავტომატს და ერთს მაინც როგორ ვერ მოვუღებ ბოლოს-მეთქი, მარა, ასე ადვილი არ იყო ეს, მით უმეტეს სამოცდაათ წელს გადაცილებული კაცისთვის...

...სათითაოდ მივაბარე მიწას, საცოდავები... მხოლოდ ეს შემეძლო მე!..

...ყოველდღე, ხან ერთგან, ხან მეორეგან, მკვდრებს მასაფლავებინებდნენ... მადლიან საქმეს ვაკეთებდი მაინც...

ბოლოს ბაბუცა კეშელავას სახლში შემიყვანეს. საწყალი, მოხუცი ქალი მარტო ცხოვრობდა, და არ ვიცი აქ საშიშროებას არ გრძნობდნენ, თუ რა იყო? – სუფრა გაეშალათ! ერთმა გამარჯვებისა და არძინბას სადღეგრძელო ასწია. დალიეო, მითხრა. არაფერი მითქვამს, ისე დავლიე. რატომ არაფერს ამბობ, შენი ასე და ისეო და საფეთქელზე მძიმე მუშტი მომხვდა... ერთი მთლად ბაღანა იყო, თექვსმეტი წლისა თუ იქნებოდა. ფული მოიტაო, მითხრა. რუსული ათმანეთიანი მედო ჯიბეში. ვიფიქრე, რომ გამჩხრიკოს, ამასაც მიპოვის და მიმახვრიტავს-მეთქი და ამოვიღე. არ გამომართვა. აბა, გაშალე და საფეთქელზე მიიდეო. გაშლილი ათმანეთიანი ყურთან მივიტანე. უფრო ახლოსო... ერთი, ხუთიოდე ნაბიჯით დაიხია და არც იყო კარგად შემობრუნებული, ტყვია რომ გავარდა. წამით გავიფიქრე, მკვდარი ვარ-მეთქი... ხელში გახვრეტილი ათმანეთიანი მეჭირა!! ყურში ხარხარი ჩამესმოდა. სნაიპერი ვარო, ჩამძახოდა ვიღაცა... მერე ერთმა თქვა, პრიკონჩიო! – ნიეტო, – უპასუხა მეორემ – ონ უჟე მიორტვიო, და მართლაც მკვდარი ვიყავი მე...

* * *

მულახში თუ უშბასთან მინახავს ასეთი ვაჟები, – თვალებიდან აღტაცებას რომ ღვრიან სტუმრის დანახვაზე და ჯიხვის მწვადებზე გეპატიჟებიან...

...ახლა თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მივუყვებით და ვიღაცის მიერ, ეშმაკმა უწყის, რისგან გამომცხვარ „ფენოვან“, ვითომ ხაჭაპურს ვილუკმებით ზაზა ნარსავიძე – დრანდელი სვანი და მე.

– როდის ჩამოხვედი, ზაზა, კოდორის ხეობიდან?

– ერთი თვეა! – ზაზას ნაღმმა წააწყვიტა მარჯვენა ფეხის ნახევარი ტერფი და კარგა გვარიანად კოჭლობს.

– ჩამოვჯდეთ სადმე, არ დაიღალე?

– რა დამღლის?.. დედა გადამერია კინაღამ... ამასწინათ სანადიროდ ვიყავი ჭიუხებში, ამ ფეხით... ამისთვის რა მიჭირს მთებში, აქაურ ჰაერს კი ვერ ვიტან, რაღაც...

საშუალო ტანისაა ზაზა, 25 წლის ვაჟკაცი. ვებაასები მას და ვხედავ, რამხელა მარეს დაატარებს ტერფმოწყვეტილი ფეხები თბილისის ქუჩებში, „მარე“ სვანურად კაცს ჰქვია და რამხელა ამბავია, რომ მარე ხარ!“ – მახსენდება მურმან ლებანიძის ლირიკა.

– ჯარში ხარ ნამყოფი, ზაზა?..

– კი... რუსის ჯარში!

– სად იბრძოდი?.. კოდორის ხეობაში?

– ყველგან!..

– ზაზა, იფიქრებდი, რომ კაცს ტყვიას ესროდი?

– ტყუილი რომ ვთქვა, ღმერთი არ მაპატიებს... თუ დედას შემაგინებდნენ, ალბათ, კი!..

– ძნელია?

– გააჩნია!.. თავიდან არ მიფიქრია, თუ ვინმეს ვესროდი, მარა...

– გაგრაშიც?..

– ხო, გაგრაში... – ზაზა შეჩერდა და... კარგა ხანს აქ არ არის. მეც არ ვუშლი გარინდებას.

– გაგრამ გადამრია... გაგრამ!..

– რა იყო ზაზა?..

– საშინელება!..

– ბევრნი დაიხოცნენ ჩვენები?

– დახოცვაში არ არის საქმე...

– ამბობენ, ქართველების მოჭრილი თავებით ფეხბურთს თამაშობდნენო...

– აფხაზები და ქართველები ღვიძლი ძმები არიანო, გამიგონია მე... მაგრამ არც ამაშია საქმე... საშინელება იყო, საშინელება!..

ვდუმვართ.

– რამდენიმეჯერ დაზვერვაზე ვარ ნამყოფი... გაგრაში!

კვლავ ვდუმვართ. ზაზა შორს, ძალიან შორს იცქირება და ვხედავ, როგორ ეცვლება ფერი სახეზე...

– ფეხებით ჩამოკიდეს!.. – თითქოს თავისთვის ლაპარაკობს ზაზა.

– თავები წააჭრეს... – ზლუქუნის მაგვარი ხმა აღმოხდა ზაზას და ჭადარს მიეყრდნო...

– პეშვს უშვერდნენ სისხლს და სახეზე ისხამდნენ, თან ხარხარებდნენ, გრუზინსკი კროვ, ხაროში ვინოო... ხარხარებდნენ... რა გადარევდათ აფხაზებს ასე?..

...ნელა მივუყვებოდით ქუჩას. ზაზა ლტოლვილთა კომიტეტს ეძებდა... ჰუმანიტარული დახმრება რომ მიეღო მოხუცი დედამის პატრონს. ამაყი სვანი ბიჭი დახმარებას ითხოვდა და დაფღეთილ ტერფს სიმწრით ადგამდა გახურებულ ასფალტზე.

– ...მას მერე მეც გადავირიე, ბატონო ჩემო... – დაბეჩავებული ხმით შემომფიცა აღსარება ზაზამ და ვიგრძენი, მას გულში ჯერ კიდევ ვერ დაეჯერებინა აფხაზ-ქართველთა გათიშვა, – „რა გადარევდაო აფხაზებს ასე?“ – კითხულობდა ზაზა.

ფაურ ფიფია.

(გაგრძელება იქნება)

ჯანსულ ჩარკვიანი, შოთა ჭალაგანიძე, ბელა ახმადულინა, ნოდარ დუმბაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ჯიმი ჩარკვიანი. 80-იანი წლები.

არაგვი როცა მობღავის – მე ღმერთის რისხვა მგონია...

ჩემო ჯანსულ!

ვერ ვიჯერებ, რომ წელს 30 სექტემბერს 85 წლის ხდები, მე – 80-ის, ჩვენი და ლუიზა 83 წლის გახდებოდა. როცა ეს ვუთხარით უწმინდესს, მან გვითხრა – „ასეთი რამ პირველად მესმის, სამი დედმამიშვილის ერთ დღეს დაბადება მართლაც საოცარი დამთხვევაა“. და შენ რა უპასუხე, გახსოვს? „ჰოდა, იმიტომ ვართ დამთხვეულებიო“. შემდეგ უწმინდესმა თავის თანაშემწეს, შორენას მოატანინა საეკლესიო კალენდარი... აღმოჩნდა, რომ 30 სექტემბერი პისტისა და აღათიონის დღეა... პისტი დედას ერქვა, აღათი კი ბებიაქალი იყო. რას იზამ, გინდა-არგინდა, ჩვენს დაბადებაში ღვთის ხელი ურევია.

ვინ ხარ შენ და რა სიკეთე გაგიკეთებია შენი ერისათვის? ყველას დამხმარე, გვერდში მდგომი, უშიშარი, პატიოსანი და ბავშვივით გულუბრყვილო. მთელი წიგნი არ მეყოფა იმისთვის, რომ შენს კეთილ და ვაჟკაცურ საქმეებზე მოვუყვე საზოგადოებას. ამიტომ რამდენიმე ამბით შემოვიფარგლები.

რედაქციის წინ გვხვდება ქალბატონი, გკოცნის და გეუბნება: „როგორ გაოცებული მიყურებთ, ხომ არ დაბერდით, ბატონო ჯანსულ. მე ის ვარ, ჩემი გაჭირვებით რომ შეგაწუხეთ თქვენი მწერალთა კავშირის მდივნობის დროს, გახსოვთ, თქვენ დაურეკეთ ბატონ ზოდელავას და მან ერთ კვირაში სამოთახიანი ბინა მომცაო“. შენ ამ ქალბატონს იუმორით უთხარი: „ერთხელ დაგეპატიჟებინეთ იმ ბინაში და დაგიმახსოვრებდითო“.

რაც შეეხება გულუბრყვილობას, ერთ პოეტზე გეუბნებოდი, ნდობას არ იმსახურებს-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერე... ჩვენთან იზრდებოდა, შენ მამას გეძახდა, „პაპიკას“, მაგრამ ტელევიზიით გამოსვლისას შენ არც უხსენებიხარ, კონსტანტინე გამსახურდიამ გამზარდაო, იჩემებდა. ბატონი კონსტანტინე ჩვენი კარის მეზობელი იყო, მაგრამ ამ პოეტთან არაირი შეხება არ ჰქონია. ასეთები კიდევ იყვნენ და იქნებიან, სამაგიეროდ, ერთმა შესანიშნავმა პოეტმა მაყვალა გონაშვილმა თავისი ლექსით გითხრა, ნუ გწყდება გული ამ პოეტებზე, სკამზეც რომ შედგნენ, წელამდეც ვერ მოგწვდებიანო.

როგორ არ გავიხსენო, მოსკოვში მწერალთა კავშირის ყრილობაზე რუსი მწერლის გამოსვლისას, საქართველოს აუგად მოხსენიების შემდეგ პროტესტის ნიშნად ადექი და არჩილ სულაკაურთან ერთად დატოვე დარბაზი.

ან 9 აპრილი როგორ არ გავიხსენო, აქტივის სხდომაზე ჯარის შემოყვანის საკითხი რომ იხილებოდა. მაშინ მხოლოდ შენ და სესილი გოგიბერიძე წახვედით წინააღმდეგი.

ისიც მახსოვს, რომ ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირის რიგებიდან გარიცხვას ხელი მხოლოდ შენ არ მოაწერე. შემდეგ კი შენ, გრიგოლ აბაშიძე, ლევან სანიკიძე და რევაზ ჯაფარიძე თავდებში დაუდექით ოთხეულს – მერაბ კოსტავას, გია ჭანტურიას, ზვიად გამსახურდიას და ირაკლი წერეთელს.

შენ არასდროს ყოფილხარ ვინმეზე დამოკიდებული, ბოლომდე კაცურად უერთგულე შევარდნაძეს ჭაბუასთან და ნოდარ დუმბაძესთან ერთად. ისე, როგორც დღეს ხარ ერთგული საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი ქველმოქმედისა, ბიძინა ივანიშვილისა – შენ იცი მადლიერების ფასი. არჩევნები მოდის და ვიცი, შენ და შენი ოჯახი ჭეშმარიტებას დაუჭერთ მხარს.

ღმერთმა ყველაფრის ნიჭი დაგაბერტყა, როგორი პოეტიც ხარ, მთელმა საქართველომ იცის, მაგრამ ყველამ არ იცის როგორ მღერი, რუსთაველზე მოჩხუბრის სახელი რომ გქონდა, რა ლამაზად ჩხუბობდი, ფეხბურთს როგორ თამაშობდი, რა მოხდენილად ცეკვავ და როგორი განსაკუთრებული იუმორის გრძნობა გაქვს.

შენი ნიჭი დააფასეს და მოგანიჭეს სახალხო პოეტის წოდება.

მინდა, გავახსენო საზოგადოებას შენი საქმიანობა: ჟურნალების – „დილას“, „დროშის“, „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი, გაზეთ – „ქართული სიტყვის“ მთავარი რედაქტორი, გამომცემლობა „საქართველოს“ დირექტორი, მწერალთა კავშირის პირველი მდივანი, ორი მოწვევის პარლამენტარი, საქართველოში პენ-კლუბის დამაარსებელი, ოცი წლის მანძილზე საზოგადოება „თბილისელის“ პრეზიდენტი. მონიჭებული გაქვს „პოეზიის რაინდის“ საპატიო წოდება, ხარ სრულიად სომხეთის ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, ევტუშენკოსთან, მეჟელაიტისთან და კაპუტიკიანთან ერთად. შენს ლექსებზე სხვადასხვა კომპოზიტორების მიერ დაწერილია ოთხმოცამდე სიმღერა, ხარ თარგმნილი თხუთმეტ ენაზე, ხარ აზერბაიჯანის (არა საქართველოსი!) მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი. თუ ვინმეს ძმა ან ახლობელი გამოაქვეყნებს ასეთ დოსიეს სხვა პოეტზე, გამიხარდება.... გკოცნი, შენი ძმა ჯიმშერ ჩარკვიანი და ეს წერილი მინდა, შენივე ლექსით დავამთავრო, რომელიც მდინარე არაგვს მიუძღვენი:

არაგვი

ტურისტული მოგზაურობიდან დაბრუნებულ ნაცნობს

— აი, დუნაი, მდინარე,
სხვა მდინარეს რომ არა ჰგავს,
აქედან გამომდინარე —
სიტყვა არა თქვას არაგვმა.

არაგვი მაინც ორღანს ჰგავს,
მის ხმას რა თავში ვიხლიდი,
მთელი არაგვის მონაგარს
ერთი დუნაით ვიყიდი...

ამას ამბობდა ქართველი,
გადარეული ავსტრიით,
მაშინ ვერ გითხარ სათქმელი,
იმ დღიდან სათქმელს დავსტირი.

— ეს, შენ გგონია ორღანი,
ბუნებით მთვრალს და მგლოვიარს,
არაგვი როცა მობღავის —
მე ღმერთის რისხვა მგონია.

ცრემლები დასდის მწარენი, —
მოაგრიალებს როს ჭალებს,
რას ამბობ, სხვა მდინარენი
ფეხებსაც რომ ვერ მოსჭამენ.

შენი
ჯიმი ჩარკვიანი

გიორგი შარვაშიძე: „აუდიტორია 115“ არის არარეგისტრირებული ენჯეო, რადგან ძალიან ბევრი არასტუდენტია

თსუ-ს რექტორსა და აუდიტორია 115-ის წევრებს შორის შეხვედრა კონკრეტული შედეგის გარეშე დასრულდა. რექტორის გია შარვაშიძის განცხადებით, შეხვედრაზე რამდენიმე მტკივნეული საკითხის განხილვა მოხდა, მისივე თქმით, ის მზად არის დაიწყოს მუშაობა იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რომელიც უნივერსიტეტშია.

„ძალიან ბევრი მტკივნეული საკითხი განვიხილეთ, ძალიან ბევრი საკითხია, რომლის გადაწყვეტაც შეიძლება და ძალიან სწრაფად. ჩვენ რეალურად ვაპირებთ ღიად ვიმუშავოთ იმაზე, თუ როგორი იქნება ჩვენი უნივერსიტეტი. ეს არის ჩვენი ყველას უნივერსიტეტი. ის, რომ დღეს უნივერსიტეტში ყველაფერი რიგზე არ არის, ეს არის ფაქტი. ამ ფაქტებზეც გვქონდა საუბარი, მაგრამ ყველამ ერთად უნდა ვეძებოთ გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან და მე მჯერა, რომ ძალიან ცოტა ხანში, ძალიან სერიოზული ნაბიჯები გადაიდგმება იმ მიმართულებით, რომ უნივერსიტეტი გახდეს მართლაც კვლევისა და სწავლების სამაგალითო ადგილი,“ – განაცხადა გია შარვაშიძემ.

ჩვენი ინტერესია ზუსტად ის, რასაც ახლა ყვირიან – ამის შესახებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ სტუდენტური მოძრაობა „აუდიტორია115“-ის პროტესტისა და მოთხოვნების კომენტირებისას განაცხადა. გიორგი შარვაშიძის თქმით, „აუდიტორია 115“ არარეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რადგან მასში ბევრი არასტუდენტია და პოლიტიკური გრადუსიც არის შემოტანილი.

„ხედავთ რა ფორმით მიმდინარეობს „აუდიტორია115“-ის ნაწილის გამოსვლა. არ მგონია, ეს ლამაზი ფორმა იყოს, თუმცაღა, გემოვნების საკითხია. გასაგებია, რომ რეკრუტირება არის ალბათ საჭირო „აუდიტორია115“-ში მეტი სტუდენტის, მეტი ყურადღება რომ მიიქციონ, ეს არის მათი ინტერესი. ჩვენი ინტერესია ზუსტად ის, რასაც ახლა ყვირიან.

„აუდიტორია 115“ ჩემი თვალსაზრისით არის არარეგისტრირებული ენჯეო, რადგან ძალიან ბევრი არასტუდენტია, თან არის მაღალი პოლიტიკური გრადუსი შემოტანილი, გასაგებია ჩემთვის ყველაფერი“, – განუცხადა ჟურნალისტებს გიორგი შარვაშიძემ.

შეგახსენებთ, „აუდიტორია115“-ის წევრებმა სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩაშალეს, რომელსაც განათლების, ფინანსთა, ეკონომიკის მინისტრები და თბილისის მერი ესწრებოდნენ. მოძრაობის წევრებმა უნივერსიტეტის ავტონომია კიდევ ერთხელ მოითხოვეს და თსუ-ს ახლად არჩეულ რექტორს, რომელიც მანამდე განათლების მინისტრის მოადგილის პოზიციას იკავებდა, უნდობლობა გამოუცხადეს.

* * *

აუდიტორია 115-ის წევრები კი აცხადებენ, რომ რექტორთან შეხვედრას შედეგი არ გამოუღია: **„კონკრეტული პასუხები ჩვენ რექტორისგან არ მიგვიღია. ერთადერთი, რაც ჩვენ რექტორმა შემოგვთავაზა, ეს არის გაურკვეველ სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა, რომელსაც ყველა რექტორი მოდიოდა და გვპირდებოდა. ჩვენ ძალიან კონკრეტული მოთხოვნა წავუყენეთ დღეს მას. ეს არის ის, რომ სოციალურად გაჭირვებულ სტუდენტებს, რომლებიც ვერ იხდიან გადასახადს, გაეხსნათ ბაზები, ისე როგორც ეს ხდებოდა ადრე. მათ შეეძლებათ გადაიხადონ ამ სემესტრის რაღაც ნაწილი, სიმბოლური თანხა და შეეძლებათ აკადემიური რეგისტრაცია. ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს აკადემიური საბჭო,“** – განაცხადა აუდიტორია 115-ის წევრმა.

რატომ ვაძლევ ხმას „ოცნებას“?

— უპირველესად იმიტომ, რომ ხელისუფლებას ჩამოაშორა თავხედი, მოძალადე, ეროვნული ინტერესების უგულებელმყოფელი, უგუნური ახალგაზრდები სააკაშვილის მეთაურობით. ზოგი ოპოზიციონერი იმას გვიმტკიცებს, რომ 2012 წლის ოქტომბრამდე სააკაშვილის დროინდელი ხელისუფლება ოპოზიციის მიერ ბევრჯერ იქნა შეშინებულიო და მაგალითად მოჰყავს 2008 წელი, როდესაც ანტისახელისუფლებო მიტინგებმა პიკს მიაღწია. ამ მოსაზრებას სრულიად ვიზიარებ, მაგრამ ყოვლად დაუშვებელია შეშინებული ადამიანების ხელისუფლებაში თუნდაც ერთი დღით დატოვება. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ხელისუფლება, მით უმეტეს, თუ იგი საერთოდ, უგულებელმყოფელია ქვეყნის ინტერესებისა, ნებისმიერ ავანტიურაზე წავა.

მაშინდელმა ოპოზიციამ ვერ მოახერხა საბოლოო მიზნის მიღწევა — ხელისუფლებიდან სააკისტების განდევნა. ამით ისარგებლეს ზემოხსენებულმა უმეცრებმა და ჩაიფიქრეს ძალისმიერი გზით სამაჩაბლოს დაბრუნება. თუ გაუმართლებდათ და სამაჩაბლოს საქართველოს დაუბრუნებდნენ — ხომ კარგი — ძალაუფლებასაც შეინარჩუნებდნენ და ხალხის თვალში გმირებადაც კი წარმოჩნდებოდნენ, თუ — არა, დასაკარგავი არაფერი ექნებოდათ, — ქართველთმოძულეებს ისედაც განდევნიდნენ ხელისუფლებიდან.

იბადება კითხვა: სააკაშვილს და მის მომხრეებს რაღაცის იმედი მაინც ხომ არ ჰქონდათ წარმატების მისაღწევად? — ჰქონდათ, მაგრამ ამ იმედით მხოლოდ გონებასუსტი ინდივიდები თუ წამოიწყებდნენ რაიმე ავანტიურას.

ჩვენი მოსაზრება ასეთია: გარკვეულ გარეშე ძალებს ხელს როდი აძლევს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოგვარება. სწორედ ეს ძალები სამაჩაბლოში მოქმედ რუს სამხედროებს სთხოვდნენ, საქართველოს უგუნურებასთან ერთად ადვილად გასაბრიყვებელი ხელისუფლება შთაეგონებინათ, რომ ოსებისა და ქართველების კონფლიქტში რუსი სამხედროები არ ჩაერეოდნენ. რასაკვირველია, ეს „შთაგონება“ ზემოხსენებულ ძალებს სოლიდური ქრთამის გაღება დაუჯდებოდათ. რასაკვირველია, კრემლმა ამის შესახებ არაფერი იცოდა, ისე, როგორც რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტის დროს რუსი სამხედროები იარაღს ყიდდნენ ჩეჩენ მებრძოლებზე. რომ ცოდნოდა კრემლს, — ეს სამხედროები საველე სასამართლოებს ვერ გადაურჩებოდნენ!

ყოველი ძლიერი სახელმწიფო დაინტერესებულია სულ მცირე ხუთ წელიწადში რომელიმე სუსტ სახელმწიფოსთან ომი ჰქონდეს, რათა ამ ომში თავისი ძალები შეამოწმოს და გაწვრთნას. ამ მოსაზრებაზე დამეთანხმებიან ის სამხედროები, რომელთაც უმსახურიათ ძლიერი სახელმწიფოების უმაღლეს სამხედრო უწყებებში. ამიტომ ეს გარემოება უნდა გაითვალისწინონ სუსტმა სახელმწიფოებმა და იოლად არ ჩაებან იმ ომში, რაც მასზე დამანგრეველად იმოქმედებს, ხოლო ძლიერისთვის იგი იქნება ვარჯიში და სამხედრო ძალების შემოწმება.

კარგად ჩავუკვირდეთ იმჟამინდელი რუსი სამხედროების საჯარო გამონათქვამებს:

ისვრიან ოსები, ისინი ჩვენ არ გვემორჩილებიან... ამ გამონათქვამების ქვეტექსტი შეიძლება ასეც წავიკითხოთ: თუ თქვენ ქართველები შეძლებთ ოსების დაშოშმინებას, რუსები ასეთ ვითარებაში ნეიტრალიტეტს დაიჭერენ. ამის დასამტკიცებლად კიდევ მეტი უტყუარი არგუმენტის მოყვანა შეიძლება: „არნახული წარმატება გვაქვს, სულ მალე მთელ სამაჩაბლოზე ჩვენი კონტროლი განხორციელდება, სასიხარულო არის ის, რომ ამ კონფლიქტში რუსი სამხედროები არ ერევიან“. — ასე განაცხადა ხბოსავით აღტყინებულმა სააკაშვილმა ცხინვალის მასირებული დაბომბვის მეორე დღეს.

ომების ისტორიას არ ახსოვს ბრძოლის დაწყება ქალაქის დაბომბვით. სააკაშვილმა ჩაიდინა ჯერ არნახული, არგაგონილი სამხედრო დანაშაული. შემდგომ პერიპეტიებს აღარ მოვყვები, თავის დროზე ამის სესახებ მრავალჯერ მითქვამს და სტატიებიც გამომიქვეყნებია. მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ამ პერიპეტიებში რუსები თავს გრძნობდნენ ისე, როგორც თევზი წყალში, ხოლო სააკაშვილი და მისი მომხრეები — წყალში როგორც ნაჯახი. მხედველობაში მაქვს მსოფლიოს გამოჩენილი ექსპერტების მოსაზრება ამ კონფლიქტის შესახებ. ზოგს ჰგონია, რომ, თუ სიმართლეს ვიტყვით, ამით საქართველო დაზარალდება. ჯერ ერთი, სიმართლეს ვერ დამალავ, მეორეც, ვიტყვით ტყუილს და მიგვიჩნევენ მატყუარა ერად.

აშკარაა, რუსები იმ დროისათვის ომის დაწყებას არ აპირებდნენ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასე ვთქვათ, არეულობის გამოწვევა სააკაშვილის სურვილი იყო. საკისტები ახლაც ბევრს ყვირიან — რუსებმა მეტი გამოსავალი არ დაგვიტოვეს და ცხინვალის დაბომბვით დავიწყეთ თავდაცვაო. მეტად სულელური თავის მართლებაა. მართლაც, თუ რუსული არმია საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრას აპირებდა, მაშინ ეს განზრახვა საქართველოს ხელისუფლებას მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის, გაეროსთვის უნდა ეცნობებინა, თავდაცვის ზღუდეები გაემაგრებინა, ხოლო მოსალოდნელი ბრძოლების თეატრიდან ხალხის ევაკუაცია განეხორციელებინა. რაიმე ამის მაგვარი სააკაშვილს არ მოუმოქმედია. ხელისუფლების ქმედება იმ დროისთვის მეტად უპასუხისმგებლო იყო: თავდაცვის უვიცი მინისტრი კეზერაშვილი საკუთარი და სააკაშვილის ჯიბეების გასასჯდება, ძნელი წარმოსადგენი არ იქნება, თუ რა ზომის სასჯელს იმსახურებენ სააკაშვილი და მისი მომხრეები. მით უმეტეს, რომ ამ ფაქტს ორი უმანკო ადამიანის, ქუთაისელი დედა-შვილის და უკვდავი მერაბ ბერძენიშვილის „დიდების მემორიალი“ შეეწირა.

თბილისიდან ქუთაისში პარლამენტის გადატანა ეროვნული დანაშაულია. თუ იმასაც მხედველობაში მივიღებთ, რომ დეპუტატების მიმოსვლა აურაცხელი ფული ჯდება, ძნელი წარმოსადგენი არ იქნება, თუ რა ზომის სასჯელს იმსახურებენ სააკაშვილი და მისი მომხრეები. მით უმეტეს, რომ ამ ფაქტს ორი უმანკო ადამიანის, ქუთაისელი დედა-შვილის და უკვდავი მერაბ ბერძენიშვილის „დიდების მემორიალი“ შეეწირა.

ქელებლად საზღვარგარეთ დაეხეტებოდა, სააკაშვილი გორის სიახლოვეს მუცლით, ხვლიკივით დახოხავდა, ხოლო „ბრძოლებს“ წარმართავდა უგულავა, რასაკვირველია, მობილური ტელეფონით.

ხალხო! — ვაცნობიერებთ როგორ ვიგინდარებს და ჭკუათხელ არსებებს ჩავუგდეთ ხელში ქვეყნის მმართველობა?! მტკნარ ტყუილს ამბობენ რუსი ეგრეთ წოდებული ექსპერტები, თითქოს სააკაშვილმა ცხინვალი დაბომბა ბუშისა და რაისის წაქეზებით. პირიქით კი იყო — ეს პოლიტიკოსები დღენიადაგ ჩასჩიჩინებდნენ სააკაშვილს, რომ რუსეთთან ურთიერთობა მოეგვარებინა მშვიდობიანი გზით. ბუშმა შემდგომში განაცხადა: რუსებმა საქართველო არაპროპორციულად დასაჯაო. ესე იგი სააკაშვილი დასასჯელი იყო, მაგრამ რუსებს ეს დასჯა მეტისმეტი გამოუვიდაო. მეორე მხრივ, მართალია, საქართველო ნატოს წევრი ქვეყანა არ არის, მაგრამ აშშ თავის მოვალეობად თვლის, როგორც სტრატეგიული მოკავშირე ქვეყანა — საქართველო რამენაირად მაინც დაიცვას. ამ კონლიქტში აშშ-მა მაინცდამაინც ბევრი ვერაფერი გააკეთა. გამოდის, აშშ-მა ისეთი საქციელი ჩაიდინა, რომ თავისი თავი ნაადრევად გამოიაშკარავა. აშშ-ის დიპლომატია ისეთი მოუქნელი არ არის, რომ მსგავსი რამ ჩაიდინოს.

ცოტა სააკაშვილის სხვა დანაშაულებსა და შეცდომებზეც ვთქვათ, რათა საქმის კურსში არმყოფი ამომრჩეველი დარწმუნდეს იმაში, რომ ნაცებისთვის ხმის მიცემა ნიშნავს უგუნურობას, საკუთარი მრწამსის უარყოფას, ოჯახის შერცხვენას, იმ კუთხის ჩირქის მოცხებას, საიდანაც ეს ამომრჩეველია და, საერთოდ, ადამიანთა მოდგმის წინაშე დანაშაულის ჩადენას, რამეთუ, როგორც გერმანელ ფაშისტებს, საკისტებსაც კაცობრიობის წინაშე დიდი დანაშაული აქვს ჩადენილი.

თბილისიდან ქუთაისში პარლამენტის გადატანა ეროვნული დანაშაულია. თუ იმასაც მხედველობაში მივიღებთ, რომ დეპუტატების მიმოსვლა აურაცხელი ფული ჯდება, ძნელი წარმოსადგენი არ იქნება, თუ რა ზომის სასჯელს იმსახურებენ სააკაშვილი და მისი მომხრეები. მით უმეტეს, რომ ამ ფაქტს ორი უმანკო ადამიანის, ქუთაისელი დედა-შვილის და უკვდავი მერაბ ბერძენიშვილის „დიდების მემორიალი“ შეეწირა.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ 1918 წელს მავანი სახელმწიფოს ულტიმატუმით თბილისიდან პარლამენტი ქუთაისში უნდა გადაეტანათ. ამ ულტიმატუმს სერიოზული ომი მოჰყვა და ქართველი ხალხი ზეიმობდა ომში გამარჯვებას. აშკარაა, სააკაშვილმა თბილისიდან პარლამენტის ქუთაისში გადატანა შეასრულა გარეშე ძალების კარნახით. ამ გონებასუსტ არსებას ჰგონია ქართველი ხალხი მოატყუა, თითქოს ეს ადგილმონაცვლეობა განახორციელა ქუთაისის სწრაფი განვითარების გამო!

ოდითგანვე ცნობილია, რომ ნაციონალური უმცირესობა დედაქალაქის ირგვლივ სახლდება. თუ დედაქალაქი თავის ფუნქციას ნელ-ნელა დაკარგავს, პერსპექტივაში იგი გადაიქცევა განაპირა ქალაქად, რაც საშუალებას მისცემს ყოველ გამვლელს აქ დასახლდეს. შესაშურად მოიქცნენ ყაზახები, რომლებმაც დედაქალაქი ქვეყნის ჩრდილოეთში გადაიტანეს, სადაც ყაზახური მოსახლეობა თითქმის არც კი იყო. ამჟამად ყაზახეთის დედაქალაქი ასტანა უმეტესწილად დასახლებულია ყაზახებით და მისი შემოგარენიც ყაზახებით არის შევსებული.

ესოდენ დიდ ეროვნულ დანაშაულს არც ერთი ხალხი საკუთარ ხელისუფლებას არ აპატიებდა. ჩვენ, ქართველები სააკაშვილმა და მისმა ხროვამ მიუხვედრელ და უმეცარ ერად ჩაგვთვალა! მათივე ტერმინოლოგიით მივმართავ — ვერ მოგართვით, ნაძირლებო! სულ მალე თქვენი რეჟიმი ქართული ნიადაგიდან ამოძირკვული იქნება და თქვენი ხსენების გამო ადამიანებს შერცხვებათ კიდეც. პარლამენტი კი აუცილებლად თბილისში დაბრუნდება.

— კოდორის ხეობაში შინაგანი ჯარების შეყვანა დიდი შეცდომა იყო, რაც დანაშაულს უთანაბრდება. კოდორის ხეობის საქართველოს შემადგენლობაში დე ფაქტოდ ყოფნას აფხაზები ასე თუ ისე ეგუებოდნენ, ხოლო დე იურედ ხეობის გამოცხადებას ვერ შეეგუენ და შესაფერის დროს ელოდნენ მის მისაერთებლად. ეს შესაფერისი დრო უგუნური სააკაშვილის მეშვეობით მალე დადგა — კოდორის ხეობაც დავკარგეთ, ახალგორის რაიონზეც ხელი აგვაღებინეს. რუსეთმა კარგად ისარგებლა სააკაშვილის პროვოკაციით, რამაც საშუალება მისცა მას, საქართველოს ეს ძირძველი რეგიონი აფხაზეთი და სამაჩაბლო დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოეცხადებინა. აი, რა სისაძაგლე ჩაიდინეს სააკაშვილმა და მისმა მომხრეებმა ერის წინაშე. ახლა გაიძახიან, დაშვებულ შეცდომებს გამოვასწორებთო. ყველაფერი ეს უპატიებელი დანაშაულია და არა შეცდომა!

ქართული მიწებისა და სტრატეგიული ობიექტების გაყიდვაზე არაფერს ვამბობ, ამის შესახებ ისედაც ბევრი დაიწერა. რეჟიმის სისასტიკეს კარგად ასახავს გოგა ხაინდრავას ფილმი — ჰეროკრატია. მათ უმეცრებაზე ხალხი ანეკდოტებს თხზავენ. „დედალი ძროხა“, „მამალი ძროხა“, პურის მცხობელი მინისტრი, ნარკომანი და უვიცი თავდაცვის მინისტრები და ა. შ. ამ შარლატანებს ენა როგორ უნდა მოუბრუნდეს, რომ კარგის გამკეთებელს უნიათო ეძახონ?!

„ოცნებას“ ამუნათებენ იმის გამო, რომ თითქოს არც ერთი დანაპირები ვერ შეასრულა. ჯერ ერთი, მან სახეცვლილი ფაშიზმის ხანძარი ჩააქრო, რაც ქართველ ერს გადაგვარებით ემუქრებოდა და ჩვენი პლანეტის ერთ რეგიონში ხსენებული ფაშიზმის განვითარება იწყებოდა. გამოდის, რომ „ოცნებამ“ ეგრეთ წოდებული ნაციონალების დამარცხებით საკაცობრიო საქმის გაკეთებაც შეძლო. „ნაციონალებს“, მათი სატელიტების (ბურჭულაძე, ალასანია, უსუფაშვილი, კაციტაძე, მარგველაშვილი, ნათელაშვილი), არასაპარლამენტო პარტიების (სააკისტების წისქვილზე წყლის მიმშვებები) ეგრეთ წოდებული არასამთვრობო ორგანიზაციების (სახელმწიფოს ძირგამომთხრელები) გნიასსა და წივილ-კივილში „ოცნებამ“ შესამჩნევი ძვრები განახორციელა სოფლის მეურნეობაში, ჯანდაცვაში, ადამიანის უფლების დაცვაში, თუნდაც სამართლიანობის აღდგენაში. დღეს სისხლის სამართლის დანაშაულისთვის ციხეში სხედან მთავრობის მაღალჩინოსნები, მრავალი მათგანი, ყოფილი პრეზიდენტის „თავკაცობით“ სასჯელის არიდების მიზნით საზღვარგარეთ გადაიკარგა!

ნაცები და ზემოჩამოთვლილი ფსევდოპარტიები ხარობდნენ, „ოცნებას“ საარჩევნოდ პროგრამა არ აქვს წარმოდგენილიო, მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ. ბოლო დროს მან ისეთი გრანდიოზული პროგრამა წარმოადგინა მეტად სერიოზული პროექტებით, თანაც ამ პროექტების შესრულებას თავად ბატონი ბიძინა ივანიშვილი დაუდგა გარანტად საკუთარი მატერიალური შესაძლებლობით, რამაც ავისმსურველებს ცივი წყალი გადაასხა. ამ გარემოებამ ზემოხსენებული ფსევდოპოლიტიკოსების გამაყრუებელი გნიასი მათდა უნებურად ფინიების წკავ-წკავში გარდასახა. სად გაგონილა, რომ პარტიებს ქვეყნის წინსვლა არ ახარებდეთ!

საგარეო პოლიტიკაში „ოცნება“ მეტად თავდაჭერილად იქცევა — ყოველგვარი აღტყინების გარეშე ესწრაფვის საქართველო გახდეს მოწინავე სახელმწიფოების ღირსეული თანაგუნდელი და ეძებს გზებს რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დასამყარებლად.

სამწუხაროდ, სააკისტებს ზურგს უმაგრებს საზღვარგარეთის ზოგი პოლიტიკური წრე. ამის ნათელი დადასტურებაა ბურჭულაძის გამოსვლა პოლიტიკურ სარბიელზე ნაცების გვერდში ამოდგომის მიზნით, „ნაციონალებისგან“ გირჩის გამოყოფა, ნათელაშვილის თავის მოგიჟიანების უმაღლეს საფეხურზე აყვანა და ასე შემდეგ.

ეროვნული გაგების ადამიანი ცალკე პარტიას კი არ უნდა აყალიბებდეს, არამედ „ოცნებას“ უნდა ამოუდგეს გვერდში და საერთო ეროვნული საქმისთვის იღვაწოს, ვინაიდან ამ ეტაპზე მხოლოდ მას შეუძლია ქვეყნის წინამძღოლის ტვირთი ზიდოს. როდესაც სააკისტებს ქართული პოლიტიკური სივრციდან სრულიად განვდევნით, მშვიდად დავსხდეთ და შევიმუშაოთ რეალობისათვის შესატყვისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაცია, იდეურობის მიხედვით ჩამოვაყალიბოთ პარტიები და ვიღვაწოთ ქვეყანაში ამ იდეების დასანერგად, მანამდე კი ისე უნდა მოვიქცეთ, რასაც დღევანდელობა გვიკარნახებს;

8 ოქტომბრის არჩევნები ლაკმუსის ქაღალდის როლსაც შეასრულებს — ნათლად გამოვლინდება ამა თუ იმ რაიონში, რეგიონში რა ოდენობის ეროვნული თვითშეგნების მცხოვრებლები გვყვანან, როგორია ნაცებისა და მისი სატელიტებისადმი — ამ ქართველთმოძულეების მიმართ დამოკიდებულება. თუ აღმოჩნდება, რომ ამა თუ იმ კუთხის მცხოვრებთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ეგრეთ წოდებულ ნაციონალებსა და მათ მომხრეებს მისცა ხმა, ამ შავ ლაქას ვერასოდეს ვერ ჩამოირეცხავს ეროვნული ინტერესების უგულებელმყოფელი კუთხე. ამიტომ თითოეული ამომრჩეველი ფიზიზლად უნდა იყოს, რათა ნებსით თუ უნებლიედჰ არ გახდეს თავისი კუთხის შემარცხვენელი. ეს დიდი ეროვნული საკითხია!

გივი ჯაბუა
რუსთავი

«იავნანა» სიცოცხლე, სიკეთე და მეგობრობაა!

ღვთისმშობლის შობის დღეს, არაერთ ეროვნულ საქმეში მრავალგზის გამარჯვებულმა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „იავნანამ“ თბილისის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მიგვიწვია. ფონდი ყოველწლიურად მხარში უდგას და აფინანსებს წარჩინებულ, სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებს.

ამ კიდევ ერთ დაუვიწყარ საქველმოქმედო აქციას „იავნანას“ ერთგული მეგობრები ესწრებოდნენ. ყველასთვის სათაყვანებელი, სიცოცხლეშივე ლეგენდად აღიარებული ქალბატონი ნანი ბრეგვაძე, რომელიც აღფრთოვანებას ვერ მალავდა, როდესაც პატარა, ვირტუოზი გოგონები სხვადასხვა მუსიკალურ საკრავზე უკრავდნენ. განსაკუთრებული ემოციით უსმენდა პატარა თამარ ტყაბლაძეს, რომელიც ვიოლინოზე უკრავდა.ქალბატონ ნანის გვერდს უმშვენებდა მისი ნიჭიერი ქალიშვილი ეკა მამალაძე.

როდესაც რვა წლის ზესტაფონელმა გოგონამ ანა კალანდაძემ თავისი ვირტუოზული შესრულებით მოგვხიბლა, ცნობილმა კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა გოგონა გულში ჩაიკრა და თქვა, რომ იგი ზესტაფონის სამუსიკო სკოლის აღსაზრდელია. ფონდის ხელშეწყობით, ნიჭიერმა პატარამ, რამდენიმე თვის წინათ სტოკჰოლმის საერთაშორისო კონკურსში მიიღო მონაწილეობა. ანა კალანდაძეს მიენიჭა პირველი პრემია და ჯილდოდ გადაეცა ბულგარეთისა და ტენერიფეს ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსების სერტიფიკატი.

სალონურ საღამოს ასევე სტუმრობდა გამოჩენილი ქართველი მწერალი გურამ დოჩანაშვილი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი, ცნობილი მხატვარი რეზო ადამია, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი სვიმონ ჯანგულაშვილი, რომლებმაც ახალგაზრდებს საპატიო სიგელები და ჯილდოები გადასცეს.

ღონისძიებას კიდევ ერთი პატარა ვირტუოზი გოგონა, ორხევის რევაზ ლაღიძის სამუსიკო სკოლის მოსწავლე ელმირა აივაზიანი ალამაზებდა. მან საყვირზე დაკვრით მოხიბლა მსმენელი და მაყურებელი.

დარბაზში გამოფენილი იყო ახალგაზრდა მხატვრების ლუკა იმნაძის, თამთა დოლიძის და ელინა მიმინოშვილის ნამუშევრები.

აქცია-საღამოს „იავნანას“ შვილობილი, 14 წლის დიტო რაზმაძე უძღვებოდა.

სპეციალური სტუმრის სტატუსით მოწვეულმა კომპოზიტორმა და დირიჟორმა, უნიჭიერესმა ნიკოლოზ რაჭველმა და აღიარებულმა ალტისტმა გიორგი ცაგარელმა თავიანთი უნაკლო შესრულებით ნამდვილი ზეიმი მოგვიწყვეს.

მათი გამოსვლები ორ დიდ იუბილარს — ნანი ბრეგვაძესა და ვაჟა აზარაშვილს მიეძღვნა. მათ ხომ წლეულს რვა ათეული წელიწადი შეუსრულდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ, ბატონმა ლევან თაქთაქიშვილმა მადლობა გადაუხადა იქ დამსწრე საზოგადოებას, განსაკუთრებით კი ფონდის აღმასრულებელ დირექტორს გურამ ახალაიას, რომელიც არა მარტო ფონდის ხელმძღვანელი, არამედ დიდი ბიბლიოფილია. ბატონი გურამის ქველმოქმედება ფონდის მიერ ხორცშესხმული, მრავალი სიკეთით არ შემოიფარგლება. იგი ხშირად ამდიდრებს თავისი უნიკალური გამოცემებით ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნთსაცავს.

ფონდის ხელშეწყობით 900-მდე სტუდენტს მიეცა სწავლის საშუალება საქართველოსა თუ საზღვარგარეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში.

2016 წელს 27 სტუდენტს ნაწილობრივ დაუფინანსდა სწავლის საფასური, ხოლო სახელობით სტიპენდიას (300ლარი) იღებს შვიდი სტუდენტი. სწავლის დაფინანსება და ერთჯერადი თანხა შეადგენს 42627 ლარს. მსგავსი სახის ქველმოქმედება ხომ პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის ძლიერ და ნათელ მომავალს. „იავნანა“ ჯანსაღ თაობას უზრდის საქართველოს.

გაგაცნობთ, რამდენიმე სტუდენტს, რომლებსაც ჩვენში და საზღვარგარეთ სწავლა დაუფინანსა „იავნანამ“: ნინო სულაქველიძე — ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; ვახტანგ ბეწელაშვილი — საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი; მარიამ მამულაშვილი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მეორედ); ვერიკო მერკვილაძე — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; ინგა გოგიტიძე — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფი უნივერსიტეტი; ვაჟა ფურცხვანიძე — ქუთაისის უნივერსიტეტი; სოფო გვასალია — მილანის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თამთა კიკაბიძე — საქართველოს უნივერსიტეტი; გიორგი ბერიშვილი — ნიუ-იორკის ჯაზისა და თანამედროვე მუსიკის სკოლა; გიორგი ნინოშვილი — ვარშავის ფინანსებისა და მენეჯმენტის უნივერსიტეტი; გაგა გვენეტაძე — ვარშავის ფინანსებისა და მენეჯმენტის უნივერსიტეტი; ანა კალანდაძე — ზესტაფონის რევაზ ლაღიძის სახელობის მუსიკალური სკოლა (მეორედ); ნანა ბურჭულაძე — კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი; თორნიკე ორბელაძე — აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; მარიამ ტაბატაძე — უნგრეთი, სეგედის უნივერსიტეტი; ელენე ჯალაღონია — აშშ. ცნობილი კოლეჯი ლაფაიეტი; ანასტასია სიდამონიძე — თბილისის 47-ე საჯარო სკოლა; ზვიად აძინბაია — ტაფტის ფლეტჩერის სკოლის სამაგისტრო პროგრამა; ელენე მარიამიძე — იტალიის პერუჯას უნივერსიტეტი; გიორგი მოსულიშვილი — საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი.

ვაჟა აზარაშვილი
და 8 წლის
ზესტაფონელი
პიანისტი
ანა კალანდაძე

ამ აქციამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის „იავნანას“ მსგავსი ფონდების არსებობა. მისი სიკეთე მრავალ წელს ითვლის. „იავნანას“ მიერ დაბინავებული ოჯახები, დაფინანსებული ახალგაზრდები, სწორ გზაზე დაყენებული ბავშვები ყოველწლიურად მრავლდებიან. „იავნანას“ ქველმოქმედება გადამდები აღმოჩნდა და დღეს ფონდს უამრავი მეგობარი ჰყავს.

სიკეთე ხომ არასდროს იკარგება და დიდ, ღრმა ნაკვალევს ტოვებს, ესეც აშკარაა. სწორედ ფონდის დახმარებით გაითქვეს სახელი ანიტა რაჭველიშვილმა, გიორგი ცაგარელმა. იმედია, კიდევ მრავალ ნიჭიერ ადამიანს გაუკვალავენ გზას.

რა თქმა უნდა, ყველას გვსურს ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც სიღარიბე და სიდუხჭირე არ იქნება, მაგრამ ეს დღეს მხოლოდ ოცნებაა. სწორედ ამიტომ, „იავნანამ“ დიდხანს უნდა იარსებოს..

მართალია, შარშან, დეკემბერში, ჩვენმა ცნობილმა მომღერალმა, ქველმოქმედმა და საზოგადო მოღვაწემ პაატა ბურჭულაძემ, პოლიტიკაში წასვლის გამო, ოფიციალურად დატოვა ფონდი, მაგრამ ჯერ კიდევ მის მიერ 2003 წელს დაარსებული საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“, მისი წარმმართველი პატარა გუნდის მონდომებით, წარმატებით აგრძელებს სიცოცხლეს.

„იავნანა“ ხომ ეს თავად სიცოცხლე, სიკეთე და მეგობრობაა.

ღმერთო, მეგობრები და შემომწირველები უმრავლე „იავნანას“.

შეგირდები და ოსტატები

ნიკოლოზ რაჭველი და გიორგი ცაგარელი

სიგელების გადაცემის დროს

რუსუდან ქოგულია,
ავტორის ფოტო.

ქუთაისის ოპერის თეატრი სეზონს „ტრავიატას“ პრემიერით გახსნის

4 ოქტომბერს ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში პრემიერაა — წარმოდგენილი იქნება ჯუზეპე ვერდის შედევრი, მისი ერთ-ერთი ყველაზე სულისშემძვრელი და პოეტური ქმნილება ოპერა „ტრავიატა“. სპექტაკლზე იმუშავა არაერთგზის ნაცადმა, წარმატებულმა შემოქმედებითმა ჯგუფმა დირიჟორ **რევაზ ჯავახიშვილის,** რეჟისორ **მაია გაჩეჩილაძის,** მხატვარ **თემურ არსენიძისა** და ქორეოგრაფ **ვახტანგ უშვერიძის** შემადგენლობით.

„ტრავიატას“ საპრემიერო წარმოდგენაში მთავარ როლებს შეასრულებენ: **ნაირა კიკოლიაშვილი** (ვიოლეტა ვალერი), **ანზორ ხიდაშელი** (ალფრედ ჟერმონი, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი), **ბაკურ კვირიკაშვილი** (ჟორჟ ჟერმონი), **ნუცა ზაქაიძე** (ფლორა ბერვუა), **მარიეტა მაჩალაძე** (ანინა), **იოსებ კიწმარიშვილი** (გასტონი), **კალისტრატე ხარჩილავა** (ბარონი დიუფონი), **ემილ ჩარგაზია** (მარკიზი დ'ობინი), **აკაკი იოსელიანი** (ექიმი გრენვილი); თეატრის გუნდი საპრემიეროდ მთავარმა ქორმაისტერმა **ნათია გოგუაძემ** მოამზადა. სპექტაკლს თეატრის მთავარი დირიჟორი **რევაზ ჯავახიშვილი** წარუძღვება.

„ტრავიატას“ მსოფლიო პრემიერა შედგა 1853 წლის 6 მარტს ვენეციის თეატრში „ლა ფენიჩე“ და ის საოცრად წარუმატებელი აღმოჩნდა, პრაქტიკულად, პრემიერა ჩავარდა. პრემიერის მეორე დღეს ვერდი თავის მეგობარს ემანუელე მუციოს წერდა: „გუშინ საღამოს „ტრავიატა“ ჩავარდა. ჩემი ბრალია თუ მომღერლების?.. დრო განსჯის“.

პრემიერის ჩავარდნის მიუხედავად, იყვნენ ადამიანები, რომელთაც ძალიან მოეწონათ და სათანადოდ შეაფასეს „ტრავიატა“. „Gazzeta Musicale“ წარუმატებლობას მთლიანად მომღერლებს აბრალებდა და წერდა: „ტრავიატა“ შესანიშნავი ქმნილებაა იმ უშრეტი გენიოსისა, რომელმაც ევროპას შესძინა „ნაბუქო“, „ერნანი“ და „რიგოლეტო“. ამ ნაწარმოების მუსიკა გასაოცარი, დამატყვევებელი რელიეფურობით ამჟღავნებს ვნებათა ევოლუციას“.

მსოფლიო პრემიერიდან ერთი წლის შემდეგ, 1854 წლის 6 მაისს, ვერდის შემოქმედების თაყვანისმცემელმა ანტონიო გალომ „ტრავიატა“ (მცირედი კუპიურებით) ვენეციაში თავის თეატრში „San Benedetto“-ში დადგა და ოპერას კოლოსალური წარმატება ხვდა წილად.

„ტრავიატას“ გაცნობის შემდეგ დიუმამ თქვა: „ორმოცდაათი წლის შემდეგ არავის ემახსოვრება ჩემი „ქალი კამელიებით“, ვერდიმ კი ის უკვდავჰყო“.

1855-57 წლებში „ტრავიატა“ დაიდგა ევროპის ყველა ცენტრალურ საოპერო სცენაზე და სამუდამოდ დაიმკვიდრა გამორჩეული ადგილი საოპერო რეპერტუარში.

ქუთაისის ოპერის თეატრში ვერდის „ტრავიატას“ დადგმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

სწორედ „ტრავიატას“ პრემიერით გაიხსნება ქუთაისის ოპერის თეატრის 48-ე თეატრალური სეზონი, რომელიც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის **ირინე ლომინაძის** თქმით, აუდიტორიას მრავალ სიურპრიზს უმზადებს.

ზურაბ ოიკაშვილი.

ვინ და რატომ ებრძვის „ჩქინობურას“

ზუგდიდის ფოტო. მე-19 ს.

პირდაპირ ვიტყვი: ეს წერილი „საქართველოს რესპუბლიკის“ 21 სექტემბრის ნომრის პუბლიკაციამ „ვინც ცეცხლს ეთამაშება, ცეცხლშივე შთაინთქმება“ (ღია წერილი ზუგდიდის ინტელიგენციას)“ დამაწერინა, უფრო სწორად, მასში გაჟღერებულმა ინფორმაციამ, რომ ამ დღეებში ზუგდიდში გამართულ საპროტესტო აქციაზე „პროტესტის მიზეზი მეგრული ენისთვის რეგიონალური ენის სტატუსის მინიჭება ყოფილა“.

წერილს ავტორი ბატონი ზაურ ნაჭყებია ბუნებრივად აღუშფოთებია ასეთ „ტვინნაღრძობ სეპარატიზმს“ და იმდენად გამანადგურებელ პასუხსაც სცემს, რომ მისთვის ამ საქმეში „დახმარება“, ვფიქრობ, სრულიად ზედმეტია. მაგრამ ის კი უნდა ითქვას, რომ ეს გამოხდომა არახალია და მისი საზოგადოებისთვის შეხსენება სწორედაც საჭიროა. ამის უფლებას თავს იმიტომ ვაძლევ, რომ თავის დროზე ბევრი მაქვს ნამუშევარი ამ თემაზე და წიგნიც კი გამოვაქვეყნე, საიდანაც, დღეს დროდადრო მონაკვეთებს მოვიხმობ.

მეცხრამეტე საუკუნე დიდი ნიშანსვეტი იყო საქართველოს ისტორიის ცარგვალზე. ქვეყანამ დაკარგა დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა, რასაც ასეთი თავგანწირვით, ჭაპანწყვეტითა და სისხლით ინარჩუნებდა ათასწლეულთა მანძილზე, იქცა რუსეთის იმპერიის განაპირა მხარედ, უსახელო და უსახურ კოლონიად. და იმავდროულად, იმ კოლონიის სამოსელში... გაერთიანდა და გამთლიანდა, რაც მანამდე ვერ შეძლო ბრძოლითა და კირთებით.

მაგრამ როგორც კი საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავრობოები გაუქმდა და ქვეყნის სხვადასხვა ნაწილი ერთ სხეულად შეიკრა, ორთავიანმა არწივმა იგრძნო ამ გაერთიანების საშიშროება და მისი ხელოვნურად დაქუცმაცება გადაწყვიტა. ამ მისიით იერიში ერის მთლიანობის ერთ-ერთ ციხე-ბურჯზე — ენაზე მიიტანეს. ცარიზმმა მიზნად ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნული მეობის წაშლა დაისახა, ხმარებიდან ამოიღეს პოლიტიკური ცნება „საქართველო“, თბილისის და ქუთაისისის გუბერნიები უშუალოდ საიმპერიო ცენტრს დაუქვემდებარეს.

სკოლებში ქართული ენის ნაცვლად რუსული ენის სწავლება დაწესდა. მშობლიური ენა არასავალდებულოდ ცხადდებოდა და მას მხოლოდ დაბალ კლასებში ეთმობოდა საათების მცირე რაოდენობა, ისიც გაკვეთილების ბოლოს. მოგვიანებით ქართული ენა საერთოდ აიკრძალა სკოლებში და იგი „საოჯახო ზრუნვის“ საგნად გამოცხადდა.

ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის თედო სახოკიას ცნობით, სამეგრელოს სამოქალაქო, ანუ „ნორმალურ“ სკოლებში შეგირდები ქართულს, როგორც ისინი ამბობდნენ, „ჩქინობურას“, ე. ი. „ჩვენებურ“ წერა-კითხვას შინაურულად, მალვით სწავლობდნენ.

იყო ვერაგული განზრახვა, რომ სამეგრელოს, აჭარის, სვანეთის სკოლებში სწავლა შემოეღოთ მეგრულ, თურქულ, სვანურ ენებზე... მეგრელები, აჭარლები, სვანები ცალკე, არაქართულ ეროვნებებს წარმოადგენენ. დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა ქართველ-მეგრელთა ეროვნულ ერთობას, მეგრელთა შორის ხელოვნურად, განგებ ნერგავდნენ ანტიქართულ განწყობას.

ისაკ ჟვანია

მაგრამ მარტო კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი, ცნობილი შავრაზმელი იანოვსკი და ძმანი მათნი როდი იქმდნენ ამ ბოროტ საქმეს. არაერთი გადაჯიშებული ჩვენი თანამემამულე ედგა მათ მხარში.

1933 წელს ხობის რაიონულ გაზეთში (№6-7) დაიბეჭდა თედო სახოკიას სტატია, რომელშიც ავტორი „მცოდნის“ ფსევდონიმით გვიამბობს თუ როგორ ხდებოდა ეს:

„იანოვსკის მარჯვენა ხელმა, იმერეთის სკოლების საგუბერნიო ინსპექტორმა ლევიცკიმ ხონის სემინარიის მასწავლებელს პეტროვს მეგრელთათვის ცალკე ანბანიც შეადგენინა, რა თქმა უნდა, რუსული ასოებით (პეტროვმა პეტერბურგელი ენათმეცნიერის ალ. გრენის მიერ შედგენილ „მეგრულ ანბანზე“ დაყრდნობით რუსული შრიფტით შექმნა თავისი „მეგრული ანბანი“ — ა. ა.) და ხონის სემინარიის მუშაკის, შემდგომში „ცნობილი“ თადა აშორდიას საშუალებით მეგრული ხალხური ზღაპრები თუ ლექსებიც ჩააწერინა. ეს სახელმძღვანელოდ უნდა გამხდარიყო სამეგრელოს სკოლებში (თადა აშორდიამ რუსულ-ქართული შერეული ანბანით შეადგინა სასკოლო სახელმძღვანელო „დიდა ნანა“ — **ა.ა.**). აშორდიას, თავის მხრივ, აგენტებიც გაუჩნდნენ და გაჩაღდა საქმე. სამეგრელოს სკოლა გადაიქცა ბავშვების დაჩლუნგებისა და გადაგვარების ერთგვარ ქარხნად... აშორდიას უნდა ეთარგმნა საღმრთო წერილი ქართულიდან მეგრულად. მაგრამ მთელი სამეგრელო, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგა ასეთი უხამსობისა და არამკითხე ჭირისუფლობის წინააღმდეგ. სამეგრელოს მკვიდრთა ეს კოლექტიური გულისწყრომა და აღშფოთება გამოიხატა მაშინდელი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლის (დადიანის — **ა. ა.**) დასაბუთებულ მოხსენებაში, რომელშიც სამეგრელოს წარმომადგენელი ერის კაცნი, სხვათა შორის, ნიკო (დიდი) დადიანი მისთვის ჩვეული ოსტატობით ამტკიცებდა ისეთი განზრახვის მთელ უგვანობას და უსაფუძვლობას...

1905 წლის რევოლუციამ ცოტათი შეანელა რუსიფიკატორების გულმოდგინება, შემდეგ ბნელეთის ძალები ისევ ამუშავდნენ. 1918 წელს ფოთში მასწავლებელ სტეფანე გაგუას ინიციატივით უკვე თვით მეგრელები გამოვიდნენ ლევიცკი-ვოსტორგოვის (დეკანოზი ივ. ვოსტორგოვი — საქართველოს საეგზარქოსოს საეპარქიო სკოლათა მეთვალყურე, სასტიკი ქართველთმოძულე, რომელიც „ამტკიცებდა“, რომ მეგრელებს ქართველებთან საერთო არაფერი აქვთ, ამიტომ მათ სკოლებში ქართული არ უნდა ისწავლებოდესო. მანამ არ გაჩერდა, სანამ აკადემიკოსმა ნიკო მარმა მიწასთან არ გაასწორა). დაწყებული საქმის გამგრძობნი, როგორც მოხალისენი (სტ. გაგუამ, მ. კანკავამ და სხვებმა მათ მიერ შექმნილ ჯგუფს მაფალუ უწოდეს (მაფალუ ნიშნავს საწყისს, რომელიც მოწოდებულია გაფურჩქვნა-აყვავებისთვის... — **ა. ა.**), მაგრამ ყველას ბალღთა ბალღობად მიგვაჩნდა მათი ცოდვილი და სერიოზულობაში არ ჩამოგვირთმევია, სანამ 1925 წელს, როცა ყველაზე ნაკლებად მოველოდით ასეთი ავადმყოფობის გაღვიძებას, ზუგდიდში დაიწყო ავტონომიის ნიადაგის მზადება“, — წერს დასასრულს თედო სახოკია.

1925 **წლის** 13 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ლავრენტი ბერიას წერილი „მეგრელი ავტონომისტების შესახებ“. **ავტორი მეგრელთა ერთ ჯგუფს ბრალს დებდა ავტონომიზაციის იდეით გატაცებაში, რომ ისინი ქმნიდნენ დოკუმენტებს და უგზავნიდნენ სსრკ ცაკ-ს, ამიერკავკასიის ფედერაციის შესაბამის სტრუქტურებს, საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.**


თედო სახოკია

ლავრენტი ბერია წერდა, ჩემ წინ დევს მთელი რიგი ერთგვარად კლასიკური დოკუმენტები და ამონაწერები მოჰყავდა ამ „ღირსშესანიშნაობებიდან“ (მისი მეტაფორაა — **ა.ა.**): „სამეგრელოს მშრომელები მოელიან განთავისუფლებას საქართველოს ისტორიულად და იურიდიულად უსაფუძვლო სუვერენიტეტისგან, რომელსაც მხარს უჭერს მხოლოდ „იმპერიალისტური ელემენტი“, „სამეგრელოს ხალხი გმინავს ქართველების უღელქვეშ“, ეს ხალხი „შეუერთდა რუსეთს 1867 წლის ტრაქტატით და ალექსანდრე II-ის ბრძანებით, რაც სჩანს რუსეთის სახელმწიფო არქივიდან“... ლ. ბერია სარკასტულად შენიშნავს, რომ მეფის რუსეთის აქტებში, რუსეთის იმპერიის არქივებში „სამეგრელოს მშრომელი მასები“ ეძებენ კანონიერ საბუთებს ავტონომიისთვისო, თურმე 1867 წელს სამეგრელოს გლეხობამ თავის ბედ-იღბლის ხელმძღვანელობა სამუდამოდ ჩააბარა რუსეთს და ჩამოაგდო თავისი მჩაგვრელი მეფე ავტოკრატიო (ლაპარაკია სამეგრელოს მთავარზე — **ა.ა.**) და სვამს კითხვას: „ხომ არ არის ეს მორიგი ოინები თავზე ხელაღებულ კონტრრევოლუციონერებისა, რომლებიც ყველა ძალ-ღონით ცდილობენ გათხარონ უფსკრული საქართველოში მცხოვრებ ტომებს შორის“.

უმალვე, 15 სექტემბერს „კომუნისტმა“ დაბეჭდა ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პირველი მდივნის ისაკ ჟვანიას საპასუხო წერილი (ლ. ბერია. ი. ჟვანიას ბრალს სდებდა ავტონომისტთა მხარდაჭერაში — **ა.ა.**). მისი აზრით, სამეგრელოს ავტონომიას მოითხოვენ „ერთი მუჭა ფანტაზიორები, რაც არაა დამყარებული მშრომელი ხალხის სურვილებზე... ასეთი ავტონომია არის ავანტურა, ხოლო მისი ინიციატორები — წმიდა წყლის ავანტურისტები“.

ი. ჟვანიას გამოხმაურებას სხვა კრიტიკული წერილებიც მოჰყვა. („კომუნისტი“ 1925 წ. 15, 16, 17, 24 ოქტომბერი). მ. კვარაცხელია, დ. თოფურიძე, ვ. მასხულია, ბ. შოგირაძე ასაბუთებდნენ სამეგრელოს ავტონომიის იდეის აბსურდულობას, მავნეობას, ქართველი ერის ინტერესების ღალატად აცხადებდნენ მას.

23 **სექტემბერს**, საღამოს, რუსთაველის თეატრში შედგა თბილისში მცხოვრებ მეგრელთა კრება. მას უამრავი ხალხი დაესწრო. როგორც „კომუნისტი“ 24 სექტემბერს წერს, მთელი აუდიტორია სამეგრელოს „ავტონომიის“ წინააღმდეგ იყო განწყობილი, „აქა-ი ქ, დარბაზის ზოგიერთ კუთხეში მაინც იყვნენ განბნეული ბუკონია-ახალაიას ორდენის წევრები, რომლებიც ცდილობდნენ ოპოზიციის შექმნას, მაგრამ მათი ოპოზიცია გამოიხატებოდა მხოლოდ ულამაზო წამოძახილებში და პრეზიდიუმის სახელზე უსუსური შეკითხვების გაგზავნაში“.

გიორგი ჟორდანიას წინადადებით პრეზიდიუმში აირჩიეს თედო სახოკია (თავმჯდომარე), აკაკი ფაღავა, დიომიდე თოფურიძე, ბართლომე პატარაია და ანდრო თოდუა, პრეზიდიუმის საპატიო წევრად — ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორი.

თედო სახოკიას მოხსენების შემდეგ (იმ მოხსენების მომენტები ბ-მა თედომ შემდეგ გადმოსცა ზემოთ ნახსენებ გაზეთ „ხობში“, 1933 წ. დაბეჭდილ სტატიაში — **ა. ა.**). სიტყვები წარმოთქვეს დიომიდე თოფურიძემ, ანდრო თოდუამ, ბართლომე პატარაიამ და აკაკი ფაღავამ, რომლებმაც აღნიშნეს „ავტონომისტების“ გამოსვლების მავნეობა და კრებას მოუწოდეს „სასტიკად დაიგმოს ბუკონია-ბესელიას და ძმათა მათთა მოქმედება“.

აკაკი ფაღავას სიტყვებს, საქართველოს მთავრობისგან კატეგორიულად მოვითხოვთ სასტიკი ზომები მიიღოს საქართველოს, კერძოდ, სამეგრელოს მშრომელი ხალხის მოღალატეთა მიმართო, დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა.

დასასრულ კრებას მიმართა კონსტანტინე გამსახურდიამ — ჩვენ აქ იმისთვის შევიკრიბეთ, რომ ერთხელ კიდევ შევარცხვინოთ ის ხალხი, რომლებსაც უნდათ სამეგრელოს ჩამოჭრა საქართველოს მთლიანი სხეულიდან. ჩვენ მხოლოდ ზიზღით უნდა გავუმასპინძლდეთ მათ, რადგან ზარბაზნების სროლა ჭიანჭველების წინააღმდეგ, არ ღირს. რას გვეუბნებიან ჩვენ სამეგრელოს ავტონომისტები: დაივიწყეთ რუსთაველის, ჩახრუხაძის, დავით გურამიშვილის ენა და იკითხეთ ბუკონიას წიგნებიო. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვთქვათ ჩვენი გადამწყვეტი სიტყვა ამ მახინჯი მოვლენის წინააღმდეგ და მოვთხოვოთ მთავრობას მისი ძირიანად მოთხრა, — თქვა მწერალმა.

მიიღეს რეზოლუცია „კრება საქვეყნოდ აცხადებს, რომ ეს არის გაგრძელება იმპერიალისტური რუსეთის გამთიშავი პოლიტიკისა, რაც მიმართული იყო ქართული ეროვნული ოჯახის დაქსაქსვისა და საქართველოს, როგორც მთლიანი ეროვნული ერთეულის მოსპობისკენ. ამ ბნელ პოლიტიკანებს არავითარი — არც ზნეობრივი, არც იურიდიული, არც პოლიტიკური — უფლება არ აქვთ ილაპარაკონ სამეგრელოს სახელით. სამეგრელო კულტურით და სისხლით წარმოადგენს საქართველოს განუყოფელ ნაწილს... სამეგრელოს მკვიდრთა საერთო კრება კატეგორიულად მოითხოვს საქართველოს მთავრობისგან, მიღებულ იქნას სასტიკი ზომები ასეთი უმსგავსო შავრაზმული მოვლენის ძირფესვიანად აღმოსაფხვრელად.

1925 **წლის** 24 სექტემბრის შემდეგ პარტიულ პრესაში ამ საკითხზე დისკუსია შეწყდა, მაგრამ „ბატალიები“ გაგრძელდა თვით ზუგდიდის მაზრაში. ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობას დაუპირისპირდა მაზრის დარჩელის უბნის პარტიული უჯრედი, რომელსაც ხელმძღვანელობდა მოსკოვის სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მიხა მამფორია, დარჩენილებმა სერიოზული ბრალდება წაუყენეს სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობას აკაკი ქანთარიას, ბეგი ბერიას, გრიშა შელიას და ისაკ ჟვანიას — აგიტაციას ეწევიან სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნითო.

ზუგდიდსა და დარჩელს შორის მდგომარეობა იმდენად დამძიმდა, რომ მასში საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი ჩაერია. მაგრამ მან არ მოისურვა ზუგდიდის სამაზრო კომიტეტთან იმ ეტაპზე ურთიერთობის გაფუჭება და მას დაუჭირა მხარი: ავტონომიზაციის სასარგებლოდ მუშაობის ნატამალიც არ ჩანსო.

ასე იყო თუ ისე, 1925 წლის შემდეგ ავტონომიზაციაზე ზუგდიდის მაზრაში ყოველგვარი ოფიციალური საუბარი შეწყდა.

ეს „სიმშვიდე“ თითქმის 3 წელიწადს გაგრძელდა.

ქარიშხლის ამოსავარდნად ბიძგი იყო საჭირო...

ალეკო ასლანიშვილი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ენგურჰესი ახალი ტურისტული მექა გახდება



საქართველოს ხელისუფლება ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას გეგმავს მდინარე ენგურზე არსებული კაშხლის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელზეც ოკუპირებულ აფხაზეთთან გამყოფი ხაზი გადის. მთავრობაში მიიჩნევენ, რომ ჰიდროელექტროსადგურს დიდი პოტენციალი აქვს, ღირსეული ადგილი დაიკავოს UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში. გასული საუკუნის 70-იან წლებში აგებული თაღოვანი კაშხალი ამ ტიპის დამბებს შორის მსოფლიოში ყველაზე მაღალია.

ექსტრემალური ტურიზმი კონფლიქტის ზონაში – ასე შეიძლება, დავახასიათოთ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს იდეა, რომელსაც საქართველოს მთავრობა განიხილავს. ჩანაფიქრის მიხედვით, სულ სამიოდ წელიწადში ენგურჰესის კაშხალი კიდევ ერთ განსხვავებულ როლში წარმოგვიდგება – ტურისტულ ობიექტად. პროექტი მუზეუმებს, საბაგირო გზებს, საცქერ მოედნებს, ექსტრემალური სპორტის მოყვარულთათვის განკუთვნილ ინფრასტრუქტურას და მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მაღალ შუშის ლიფტსაც კი მოიცავს. ის ფაქტი, რომ ენგურჰესის კომპლექსი ფაქტობრივად, ოკუპირებულ აფხაზეთთან ერთობლივ გამოყენებაშია, იდეის ავტორებს არ აღელვებთ – საუბარი ხომ თავად კაშხალზეა, ის კი ოფიციალური თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორი **ნიკოლოზ ანთიძე** დარწმუნებულია, რომ ინფრასტრუქტურის მოწყობის შემდეგ ამ ობიექტის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება:

„ეს ადგილი ფაქტობრივად, სვანეთის კარიბჭეა, სვანეთი კი ტურისტული თვალსაზრისით უკვე დატვირთულია. ასე რომ ხალხი აქ გაჩერდება და არა მხოლოდ გაჩერდება, გაერთობა კიდეც“.

იმაში, რომ იდეა წარმატებული იქნება, მთავრობაში ეჭვი არ ეპარებათ. ერთდროულად ორმა მინისტრმა – კულტურისა და ენერგეტიკის – მას „მწვანე შუქი“ მისცა და პრეზენტაციას პირადად დაესწრო.

„გასულ წელს ენგურზე არსებულმა კაშხალმა ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი მიიღო და დარწმუნებული ვარ, რომ იგი პოპულარულ ადგილად იქცევა ტურისტული მარშრუტებისთვის“, – განაცხადა კულტურის მინისტრმა **მიხეილ გიორგაძემ.**

ადგილობრივი მოსახლეობა ასევე იმედოვნებს, რომ პროექტი მეტი ტურისტის მოზიდვას შეუწყობს ხელს. ეს კი ნიშნავს, რომ გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები.

„მთელი ცხოვრება ამ ობიექტზე ვმუშაობ. ტურისტების ძირითადი ნაკადი აქ 8-დან 12 საათამდეა– ბევრი სვანეთისკენ გზად შემოივლის. მაგრამ თუ ტურისტული ცენტრი, მუზეუმები აშენდება, ისინი აქ გაჩერებას შეძლებენ. ისე კი, ახლა არც გიდები გვყავს, არც ვინმე სხვა“, – ამბობს ადგილობრივი **ნონა შონავა.**

პროექტის კონცეფცია ტურისტული ინფრასტრუქტურის დარგში ესტონელი ექსპერტების დახმარებით შემუშავდა. სამუშაოები, სავარაუდოდ, უკვე 2017 წელს დაიწყება, საპროგნოზო ღირებულება კი 15 მლნ ლარია.

ზოგიერთი დამკვირვებელი კი შიშობს, რომ ენგურჰესი ტურისტული ცენტრის ხარისხში შესაძლოა, ისეთივე გამაღიზიანებლად იქცეს მოსკოვისა და სოხუმისთვის, როგორიც იყო განმუხურის ახალგაზრდული ბანაკი მიხეილ სააკაშვილის ეპოქაში.

თუმცა ყოფილი სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი ამ პროექტში ცუდსა და პოლიტიკურად ანგაჟირებულს ვერაფერს ხედავს: **„ეს არანაირად არ ეხება აფხაზურ მხარეს და არ ღირს შავი კატის ძებნა, მით უფრო, რომ ის იქ არ არის. ეს საკმაოდ შორსაა საოკუპაციო ხაზისაგან და თუ აფხაზებმა თავის დროზე, როდესაც გაკეთდა განცხადება (პროექტი ერთი წლის წინ დაანონსდა), არ მოახდინეს რეაგირება, ახლა რატომ ვეძებთ პრობლემას იქ, სადაც ის არ არსებობს?“.**

მართლაც ენგურჰესი უკვე იმყოფება ერთ-ერთ მთავარ ტურისტულ მარშრუტზე – სვანეთისკენ. ეს კი ნიშნავს, რომ პროექტის განხორციელება მხოლოდ გაამყარებს საქართველოს პოზიციებს ტურისტულ ბაზარზე და ამას შეიძლება, მხოლოდ მივესალმოთ!

ekhokavkaza

◎ გამოფენა

ხალხური ფესვების მასაზრდოებელი ძალა

ტრადიციული რეწვისა და დიზაინის პირველი საერთაშორისო სამიტი „ეთნოფესტი 2016“ საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ თბილისში 23-25 სექტემბერს გაიმართა.

სამიტი ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის პროექტის „ტრადიციული რეწვა, პლატფორმა ეკონომიკური განვითარებისთვის“ და ევროკავშირის პროექტის „ინვესთინგ ინ ფიფლ“ პროგრამის ფარგლებში მოეწყო, მის პარალელურად გამართული გამოფენა კი სამხრეთ კავკასიაში ხელნაკეთი ნივთების ფართომასშტაბიანი დიდებული სანახავი გამოდგა. ეს იყო უზარმაზარი რეგიონისთვის პირველი პრეცედენტი, როდესაც ერთ სივრცეში გაერთიანდა ტრადიციული რეწვა, გამოყენებითი დეკორატიული ხელოვნება და დიზაინერთა პროდუქცია.

„ექსპო-ჯორჯიას“ მე-5 პავილიონში ხალხური რეწვის ოსტატებმა და წამყვანმა ადგილობრივმა და უცხოელმა დიზაინერებმა სამკაულების, სამუსიკო საკრავების, ცივი იარაღის, ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, ხის ნაკეთობების, თოჯინებისა და კერამიკული ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა გამართეს.

„ტრადიციული გამოყენებითი ხელოვნების უძველესი ტრადიციების შენარჩუნება და შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარება, საერთაშორისო ბაზარზე ქართული ტრადიციული რეწვის ნაწარმის ცნობადობის გაზრდა, საქართველოს მხარეებში მცხოვრები ხელნაკეთი ნივთების ოსტატებისთვის მოტივაციის ამაღლება, მათთვის პლატფორმის შექმნის ხელშეწყობა, სამხრეთ კავკასიაში ტრადიციული რეწვისა და დიზაინის ბიზნესფორუმის ჩამოყალიბება, რომელიც მსგავსი ტიპის სასაჩუქრე-სასუვენირო საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობების ნუსხაში ჩაეწერება“, – ეს გახლავთ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის პროექტის „ტრადიციული რეწვა, პლატფორმა ეკონომიკური განვითარებისთვის“ გამართვის მიზეზთა ჩამონათვალი.

სამიტის მუშაობაში მონაწილეობდნენ ხელნაკეთი ნივთების ოსტატები საქართველოდან, მწარმოებლები სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან, ასევე მაღალი კვალიფიკაციის საერთაშორისო ექსპერტები, დიზაინერები და ბაიერები. საერთაშორისო ბაზარზე წვდომისა და ამ სფეროში კავშირების ხელშეწყობად ექსპოზიციის პარალელურად სამიტზე არაერთი პროფესიული ვორკ-შოპი, საკომუნიკაციო შეხვედრა, საჯარო ლექცია, პრეზენტაცია, ასევე სხვა ღონისძიება გაიმართა.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ სამიტის სტუმართა განსაკუთრებული მოწონება თუშურმა, ხევსურულმა, მთიულურმა, სვანერმა, საქართველოს სხვა მთიან მხარეში დამზადებულმა, ბუნებრივი საღებავებით შეღებილმა და დამახასიათებელი ორნამენტებით შემკულმა ქალის, ბავშვისა თუ მამაკაცის სამოსელმა, ტრადიციულმა ცივმა იარაღმა – ხმლებმა და ხანჯლებმა – დაიმსახურა.

სამიტის დასასრულ ორგანიზატორებმა კონკურსის „საუკეთესო სტენდის“ გამარჯვებული დაასახელეს, ეს პატივი დიზაინერ მ. თუშიშვილს ერგო, რომლის ნამუშევრებმა მნახველთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო.

ოთარ ტურაბელიძე,

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.



ინოვაციების ცენტრი ჭოპორტში

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოპორტში ბიბლიოთეკის ბაზაზე ინოვაციების ცენტრი გაიხსნა.

პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის გაერთიანებული ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატი ზაქარია ქუცნაშვილი, მოწვეულ სტუმრებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ცენტრის გახსნის ღონისძიებას დაესწრო. რეგიონში ინოვაციების ცენტრის გახსნის მიზანია დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, კერძო კომპანიებსა თუ ადგილობრივ მთავრობას, მიიღოს ცოდნა როგორც ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში, ასევე, მეწარმეობის მიმართულებით. ცენტრი ადგილობრივ მოსახლეობას საშუალებას მისცემს ისარგებლოს ძნელად ხელმისაწვდომი სერვისებითა და ტექნიკური აღჭურვილობებით. ინოვაციების ცენტრში დაგეგმილია პროგრამირების, დიზაინის, მეწარმეობისა და სხვა ბიზნესმიმართულებებზე ტრეინინგების ჩატარება. **„ინოვაციების ცენტრში დაგეგმილი აქტივობები საშუალებას მისცემს მოსახლეობას მიიღოს ცოდნა მეწარმეობის, ბიზნესის განვითარების მიმართულებით. მაქსიმალური ყურადღება დაეთმობა პროგრამირების ენების შესწავლას, რაც შეუწყობს ხელს ახალგაზრდების დასაქმებას როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ბაზარზე“,** – განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა

◎ ჩოგბურთი

პირველი მეტოქე ფინეთია



გასულ უქმეებზე დევისის თასის 2017 წლის გათამაშების წილისყრა გაიმართა. ევროაფრიკული მეორე ზონის წარმომადგენლები (16 გუნდი, მათ შორის – საქართველო) პირველ რაუნდს გაისად 3-5 თებერვალს გამართავენ. ჩვენი ნაკრები თბილისში ფინეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. შარშან ქართველებმა ამავე ზონაში დანიელებთან წააგეს და ზიმბაბვეს სძლიეს, რითაც ზონაში ადგილი შეინარჩუნეს, ხოლო ფინელებმა პირველ წრეში ზიმბაბვეს მოუგეს 4:1, მერე კი ისინიც დანიელებთან დამარცხდნენ. თებერვალში საქართველო-ფინეთს შორის გამარჯვებული მეორე რაუნდში 7-9 აპრილს მადაგასკარ-ლიტვას შორის უძლიერესს დაუპირისპირდება.

3-5 თებერვალს მეორე ევროაფრიკულ ზონაში, ასევე, ითამაშებენ: კვიპროსი – თურქეთი, ლატვია-ნორვეგია, დანია – მაროკო, სამხრეთი აფრიკა-ესტონეთი, სლოვენია – მონაკო, ტუნისი კი ისრაელ-შვედეთს შორის დამარცხებულს შეხვდება. ეს ორი გუნდი პირველ ჯგუფში აღსაზევებლად იბრძვის.

ლაშა დიდია

◎ ჭადრაკი

ლაგოდეხში ორხელისუფლებიანობაა

საქართველოს საკლუბო ჩემპიონატში, რომელსაც ლაგოდეხი მასპინძლობს, რვა რეგიონის გუნდები („თბილისი“, „კახეთი“, შიდა ქართლის „გორი“, აჭარის „ნონა“, სამეგრელო-ზემო სვანეთის „სამეგრელო“, რაჭა-ლეჩხუმის „ამბროლაური“, იმერეთის „ქუთაისი“ და ქვემო ქართლის „რუსთავი“) იბრძვიან საპრიზო ადგილებისთვის. უკვე გათამაშდა ოთხი ტური.

II ტური

„თბილისი“ – „კახეთი“ 3.5:2.5 (ლევან ფანცულაია-მიხეილ მჭედლიშვილი 0.5:0.5, ლაშა ჯანჯღავა-მერაბ გაგუნაშვილი 0.5:0.5, ზურაბ სტურუა-ლელა ჯავახიშვილი 1:0, სოფიო გვეტაძე-ბელა ხოტენაშვილი 1:0, გიორგი სიბაშვილი-ირაკლი ბერაძე 0.5:0.5, მარიამ ჭოლაძე-ნატალია ბუკსა 0:1).

„გორი“-„ნონა“ 0.5:5.5 (ზურაბ ლაღიძე – დავით ჯოჯუა 0:1, ალექსანდრე ხახუტაშვილი – დავით მაღალაშვილი 0:1, ლუკა ლიჩელი – კონსტანტინე შანავა 0:1, ციალა ქასოშვილი – სალომე მელია 0.5:0.5, ვახტანგ კარელიძე – ტიგრან ჰარუთიუნიანი 0:1, ლილე ქორიძე – დინარა სადუაკასოვა 0:1).

„სამეგრელო“-„ამბროლაური“ 4:2 (ვაჰე ბაღდასარიანი-ნიკა ვოლკოვი 0:1, გიგა ყუფარაძე-ნიკოლოზ პეტრიაშვილი 0.5:0.5, ბაჩანა მორჩიაშვილი-ნიკოლოზ კაჭარავა 1:0, მაია ლომინეიშვილი-ანა გავაშელი 0.5:0.5, ნიკა ღვამბერია-ლექსო მეტრეველი 1:0, სუსანა გაბოიანი-ანასტასია სიდამონიძე 1:0).

„ქუთაისი“ – „რუსთავი“ 1:5 (ნოე თუთისანი-თამაზ გელაშვილი 0.5:0.5, ნიკოლოზ ხაფავა – თორნიკე სანიკიძე 0:1, ნიკა ხვადაგიანი – ლუკა ლიჩელი 0:1, მერი არაბიძე – ნინო ხურციძე 0:1, გურამ კოკაია – ოლექსანდრ ბორტნიკი 0:1, ნინო ჯალაღონია – ანა შამათავა 0.5:0.5).

III ტური

„რუსთავი“ – „თბილისი“ 3.5:2.5 (თამაზ გელაშვილი – ლევან ფანცულაია 0.5:0.5, თორნიკე სანიკიძე – ლაშა ჯანჯღავა 0.5:0.5, ლუკა ლიჩელი – ზურაბ სტურუა 0:1, ნინო ხურციძე – სოფიო გვეტაძე 1:0, ოლექსანდრ ბორტნიკი – გიორგი სიბაშვილი 0.5:0.5, ანა შამათავა – მარიამ ჭოლაძე 1:0).

„ამბროლაური“ – „ქუთაისი“ 3:3 (ნიკა ვოლკოვი – ნოე თუთისანი 1:0, ნიკოლოზ პეტრიაშვილი-ნიკოლოზ ხაფავა 0:1, ნიკოლოზ კაჭარავა – ნიკა ხვადაგიანი 1:0, ანა გავაშელი – მერი არაბიძე 0.5:0.5, ლექსო მეტრეველი – გურამ კოკაია 0:1, ანასტასია სიდამონიძე – ნინო ჯალაღონია 0.5:0.5).

„ნონა“-„სამეგრელო“ 4.5:1.5 (დავით ჯოჯუა-ვაჰე ბაღდასარიანი 1:0, დავით მაღალაშვილი-გიგა ყუფარაძე 0.5:0.5, კონსტანტინე შანავა – ბაჩანა მორჩიაშვილი 0.5:0.5, სალომე მელია – მაია ლომინეიშვილი 0.5:0.5, ტიგრან ჰარუთიუნიანი – ნიკა ღვამბერია 1:0, დინარა სადუაკასოვა – სუსანა გაბოიანი 1:0).

„კახეთი“ – „გორი“ 5.5:0.5 (მიხეილ მჭედლიშვილი – ზურაბ ლაღიძე 1:0, მერაბ გაგუნაშვილი-ალექსანდრე ხახუტაშვილი 1:0, ლელა ჯავახიშვილი – ლუკა ლიჩელი 1:0, ბელა ხოტენაშვილი – ციალა ქასოშვილი 0.5:0.5, ირაკლი ბერაძე – ვახტანგ კარელიძე 1:0, ნატალია ბუკსა – ლილე ქორიძე 1:0).

IV ტური

„თბილისი“ – „გორი“ 4.5:1.5 (ლევან ფანცულაია-ზურაბ ლაღიძე 1:0, ლაშა ჯანჯღავა – ალექსანდრე ხახუტაშვილი 1:0, ზურაბ სტურუა – ლუკა ლიჩელი 1:0, სოფიო გვეტაძე – ციალა ქასოშვილი 0.5:0.5, გიორგი სიბაშვილი – ვახტანგ კარელიძე 1:0, მარიამ ჭოლაძე – ლილე ქორიძე 0:1).

„სამეგრელო“ – „კახეთი“ 2:4 (ვაჰე ბაღდასარიანი – მიხეილ მჭედლიშვილი 0.5:0.5, გიგა ყუფარაძე-მერაბ გაგუნაშვილი 0.5:0.5, ბაჩანა მორჩიაშვილი – ლელა ჯავახიშვილი 1:0, მაია ლომინეიშვილი– ბელა ხოტენაშვილი 0:1, ნიკა ღვამბერია-ირაკლი ბერაძე 0:1, სუსანა გაბოიანი – ნატალია ბუკსა 0:1).

„ქუთაისი“ – „ნონა“ 1.5:4.5 (ნოე თუთისანი-დავით ჯოჯუა 0.5:0.5, ნიკოლოზ ხაფავა – დავით მაღალაშვილი 0:1, ნიკა ხვადაგიანი – კონსტანტინე შანავა 0:1, მერი არაბიძე – სალომე მელია 1:0, გურამ კოკაია – ტიგრან ჰარუთიუნიანი 0:1, ნინო ჯალაღონია – დინარა სადუაკასოვა 0:1).

„რუსთავი“ – „ამბროლაური“ 5.5:0.5 (თამაზ გელაშვილი – ნიკა ვოლკოვი 1:0, თორნიკე სანიკიძე-ნიკოლოზ პეტრიაშვილი 1:0, ლუკა ლიჩელი – ნიკოლოზ კაჭარავა 1:0, ნინო ხურციძე – ანა გავაშელი 1:0, ოლექსანდრ ბორტნიკი – ლექსო მეტრეველი 1:0, ანა შამათავა – ანასტასია სიდამონიძე 0.5:0.5).

ოთხი ტურის შემდეგ: *„რუსთავი“ – 8 (საერთო მონაგარი – 18), „ნონა“ – 8 (18), „თბილისი“ – 6 (14), „კახეთი“ – 4 (14.5), „სამეგრელო“ – 2 (9.5), „ამბროლაური“ – 2 (8.5), „ქუთაისი“ – 1 (8), „გორი“ – 1 (5.5).*

ლექსო ცინცაძე

◎ ალიარება

მარკოიშვილის ვარსკვლავი

იტალიურმა „კანტუმ“ მანუჩარ მარკოიშვილს საკუთარი არენის შესასვლელათან ვარსკვლავი გაუხსნა. ამის შესახებ საქართველოს კალათბურთის ფედერაცია იტყობინება.

მარკოიშვილი „კანტუში“ 2009-2013 წლებში თამაშობდა. კლუბის შემადგენლობაში ის 2012 წელს იტალიის სუპერთასის გამარჯვებული გახდა.

ამჟამად ქართველი კალათბურთელი თურქული „დარუშაფაკას“ ღირსებას იცავს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ დებიუტის წინ

ვაკო გვილია:

„გატანილ გოლს მამაჩემს ვუძღვნი“

საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გამოძახებული ვაკო გვილია ჩინებულ ფორმაშია. ბორისოვის ბატეს ლეგიონერმა ზედიზედ მეორე მატჩში შეძლო გატანა – ამჯერად მან „ნაფტანის“ კარი დალაშქრა, თან საკმაოდ ლამაზი, ტექნიკური დარტყმით გააკეთა ყოველივე ეს. შეხვედრის შემდგომ გვილიამ კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდთან მცირე კომენტარი გააკეთა.

„რა თქმა უნდა, გახარებული ვარ, რომ გოლის გატანა შევძელი. მამაჩემის დაბადების დღე იყო და გოლს მას ვუძღვნი. იგი ბორისოვში გახლდათ, თამაშს ტრიბუნიდან ადევნა თვალი – მშობლები ძალზე დამეხმარნენ ჩემი მიზნის მიღწევაში.

თამაშს რაც შეეხება, პირველ ტაიმში სამი გოლი გავიტანეთ და ამან მეორე ნახევარში საქმე გაგვიადვილა. მატჩს ვაკონტროლებდით და სასიხარულოა, რომ მოვიგეთ. ჩემი შეცვლა? – არანაირი პრობლემა ამაში არაა. მწვრთნელმა გადაწყვიტა, რომ გლები შეეყვანა მოედანზე, რომელსაც ერთი თვე ტრავმა ჰქონდა. ბატეში დიდი კონკურენციაა და სათამაშო პრაქტიკა ყველას სჭირდება“, – თქვა გვილიამ.

შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელს მართლაც კარგი სეზონი აქვს – ბელარუსის ჩემპიონატში უკვე 4 გოლი დაუგროვდა, ხოლო ერთხელ თასზეც მოახერხა გატანა. იმასაც გეტყვით, რომ ვლადიმირ ვაისმა გვილია საქართველოს ნაკრებში პირველად გამოიძახა – მას ეროვნულ გუნდში დებიუტი ოქტომბერში ექნება.

გიორგი შოთაძე

◎ ლეგიონერი

ბაკის ბოთა:

„გორგოძე, შენ ნამდვილი გოლიათი ხარ“

საქართველოს ნაკრების ლიდერმა მამუკა გორგოძემ ტოპ-14-ის VI ტურში „კლერმონს“ ინდივიდუალური ლელო 73-ე წუთზე ძელებთან დაუდო და მისმა „ტულონმა“ გარდასახვით 23:21 იმარჯვა.

„გორგოძე, შეგიძლია „ტულონის“ ოთხნომრიანი მაისური სიამაყით ატარო. მეგობარო, შენ ნამდვილი გოლიათი ხარ. მაგრად ითამაშე. ახლა შემიძლია კარიერა მართლაც მშვიდად დავასრულო“ – ასე გამოეხმაურა საკუთარ „თვითერზე“ ამ მოვლენას „ტულონის“ სამხრეთაფრიკელი ლეგენდა, მეორეხაზელი ბაკის ბოთა.

ტურის ცენტრალური მატჩის პირველი ტაიმი „ტულონმა“ 16:6 მოიგო, მაგრამ მეორე ნახევრის დებიუტში ჯარიმა, ხოლო 53-ე და 56-ე წუთებზე ლელოები გაუშვა, რომელთაგან ერთს ზუსტი გარდასახვა მოჰყვა და 16:21 ჩამორჩა. მატჩის დასრულებამდე 7 წუთი რჩებოდა, როდესაც მამუკამ რაქიდან ჩვეულ სტილში შეუტია და ისეთი ლელო დადო, მთელი სარაგბო სამყარო კვლავ მასზე ალაპარაკდა.

ცნობილმა პორტალმა PLANETRUGBY-მ გორგოძე სათაურში ახსენა, ბოთას კომენტარი კი უკვე გაგაცანით და ეს მცირედია მრავალს შორის. ქართველი ლეგიონერისთვის მიმდინარე სეზონში ეს პირველი ლელოა. თამაშს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი მილტონ ჰეიგი დაესწრო.

კოგა კოგახიძე

◎ ოლიმპიური კალეიდოსკოპი

...ჯილდოდ კი - ველური ქლიავის გვირგვინი...

რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიურმა თამაშებმა მთელ მსოფლიოში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია მრავალი მიზეზით, თუმცა კი ამ უდიდეს სპორტულ ფორუმთან დაკავშირებული მრავალი ინფორმაცია ბევრისთვის, შესაძლოა, უცნობია.

მაგალითად, თუ იცით, რომელი თარიღი ითვლება ოლიმპიური თამაშების „დაბადების დღედ“? ესაა ჩ.წ.ა-მდე 776 წელი, როცა ოლიმპიაში, წმინდა ტყე ალტისში პირველი შეჯიბრი გაიმართა. ძველ ოლიმპიადებზე ერთმანეთს მხოლოდ თავისუფალი, გაუსამართლებელი და პატიოსანი მამაკაცები ეჯიბრებოდნენ. მონები არ დაიშვებოდნენ, ხოლო ქალებს ტრიბუნებზე დასწრების უფლებაც არ ჰქონდათ. ტანშიშველი მამაკაცები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჭიდაობაში, სხვადასხვა მანძილზე სირბილში, შუბის, ურმოსა და ბადროს ტყორცნაში, ცურვაში, მუშტით ჩხუბში, სიმძიმეთა აწევაში, ასევე სრულად აბჯარასხმულ სირბილში და ეტლებით რბოლაში.

ოლიმპიური თამაშების მონაწილე იყო ძველი საბერძნეთის მრავალი მოაზროვნე, მათ შორის დემოსფენე, დემოკრიტე, სოკრატე, არისტოტელე და ჰიპოკრატე. პითაგორე კრივში იყო ჩემპიონი, პლატონს კი პანკრატიონში (კრივისა და ჭიდაობის კომბინაციაში) შეჯიბრებები აქვს მოგებული.

თამაშის გამარჯვებულებს (ანუ ოლიმპიონიკებს) ზეკვის ტაძრის მახლობლად მზარდი ველური ქლიავის გვირგვინებით აჯილდოებდნენ, ხოლო ოლიმპიონიკის მშობლიურ ქალაქში დაბრუნება ჭეშმარიტ ტრიუმფად იქცეოდა ხოლმე: მთავარ მოედანზე გამარჯვებულის ქანდაკებას აღმართავდნენ, ეს კაცი ეროვნული გმირი ხდებოდა და მთელი ცხოვრების მანძილზე პატივს მიაგებდნენ.

50-ე ოლიმპიადიდან მოყოლებული, თამაშების დროს მხატვრულ ნაწარმოებთა საჯარო კითხვის წესი დამკვიდრდა: თავისი ნაშრომის „ისტორიის“ თავებს კითხულობდა ჰეროდოტე, სოკრატე საუბრებს მართავდა, საკუთარ თხზულებებს დამსწრეთ აცნობდნენ პლატონი, ემპედოკლე, სოფოკლე, ისოკრატე, დემოსთფენე...

მას შემდეგ კი, რაც ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად იქცა, ოლიმპიური თამაშები კერთპთაყვანისმცემლობის გამოვლინებად მიიჩნიეს და ჯერ კიდევ 394 წელს ისინი იმპერატორმა ფედოსიმე I-მა აკრძალა. 1896 წელს თანამედროვების პირველი ოლიმპიური თამაშები გაიხსნა, რომლებიც ფრანგი ბარონის პიერ დე კუბერტენის ინიციატივით აღორძინდა. მას მიაჩნდა, რომ საფრანგეთ-პრუსიის ომში ფრანგების დამარცხების მიზეზი ჯარისკაცთა სუსტი ფიზიკური მომზადება იყო. 1916, 1940 და 1944 წლებში ოლიმპიური თამაშები მსოფლიო ომების გამო არ ჩატარებულა.

1900 წელს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება ქალებსაც დართეს. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი მანდილოსანი იახტოსანი გრაფინია ელენ დე პურტალე გახდა, 1924 წელს დაწესდა ზამთრის ოლიმპიური თამაშები, ოლიმპიური ოქროს მედალი, სულ მცირე, 6 გრამი სუფთა ოქროთი უნდა იყოს დაფარული.

ნინო ალექსანდრია

◎ 27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა

ერთი სპეცოპერაციის გახსენება

გიორგი ბერია

ვიქტორ ჩაგანავა

გიორგი არტემის ძე ბერია და ვიქტორ ადელარის ძე ჩაგანავა გალელები არიან, ომის ვეტერანები, მეგობრები. ორივენი გალის შსს განყოფილების ოფიცრები იყვნენ. ყოველთვის უმძიმდათ ომის დღეების გახსენება, საუბარი დაღუპულ მეგობრებზე, მოგონებები მშობლიურ კუთხესა და ახლობლებზე. ისინი, ამჟამად დევნილები, ხშირად ეხმიანებიან ერთმანეთს. დღეს გიორგი ბერია იმ ძმათამკვლელი ომის ერთ ეპიზოდს იხსენებს, როდესაც გალის პოლიციის თანამშრომლებმა უთანასწორო შეტაკების დროს შეძლეს გაენადგურებინათ მტრის კბილებამდე შეიარაღებული რაზმი.

* * *

1993 წლის მარტის სუსხიანი დილაა. სამსახურში უთენია გამოვცხადდით მე და ჩემი მეგობარი, პოლიციის მაიორი ვიქტორ ჩაგანავა, — იხსენებს გიორგი ბერია, — განყოფილების ეზოში ვსაუბრობდით, როდესაც გალის რაიონის გამგებელი რუდიკ ცატავა თავისი ავტომანქანით მოადგა შენობას. რუდიკი სწრაფად გადმოხტა მანქანიდან.

— ბიჭებო, ძალიან რთული ვითარებაა, ოჩამჩირეში მთელი ღამე სროლები იყო. მოსახლეობა სახლებს ტოვებს და გალისკენ მოდიან. ჩვენი რაიონის ხალხიც პანიკაშია, როგორმე სიტუაცია უნდა დავარეგულიროთ, ყველა ენგურის ხიდისკენ მოდის.

მივხვდი, რომ მოვლენები ყოველწუთს არასასურველად ვითარდებოდა. გამგებელს გავყევით. თან მაქვს ტაბელური იარაღი და ავტომატი ერთი მჭიდით. ჩაგანავას გალში დარჩენა ვთხოვე, რადგან სიტუაცია ადგილზე გაეკონტროლებინა. თან ის უიარაღოდ იყო. გამგებლის მანქანაში ოთარ ცატავაც დაგვხვდა. გეზი ოჩამჩირისკენ ავიღეთ. მთელი გზა ხალხით იყო სავსე, რომლებიც გალისკენ მოდიოდნენ. სიტუაცია უმართავი ხდებოდა. აჩიგვარის მილიციის ქვეგანყოფილებასთან ჩვენი თანამშრომლები შეკრებილიყვნენ — ომარ ზაქარაია, დიმა ზვამბაია, კოტე კვირაია, ედიშერ ცომაია. ამ დროს გუდაველი მოქალაქე ვინმე მალანია მოგვიახლოვდა — სახლში შეიარაღებული აფხაზები შემოგვიცვივდნენ, მამაჩემის სამსახურის ტექდახმარების დახურული მანქანა „გაზ-53“ გაიტაცეს. ყური მოვკარი გალის გავლით შეუმჩნევლად აპირებენ ტყვარჩელში გადასვლასო.

სასწრაფოდ დავიკავეთ პოზიციები. გატაცებულ მანქანას ამ გზაზე უნდა გაევლო. აჩიგვარა-ბედიის გადასახვევთან „ვულკანიზაციის“ ფარდულში მე და კოტე კვირაია გავმაგრდით, დანარჩენები იქვე მდებარე მაღაზიასა და ავტობუსის მოსაცდელს ამოეფარნენ. ოქუმის ხიდის ქვეშ დახურული „გაზ-53“ გამოვიდა და დიდი სიჩქარით ტრასაზე შემოიჭრა. გზაზე ინვალიდ მამაკაცს დაეჯახა და მოისროლა. მე და კვირაიამ ცეცხლი გავხსენით. ავტომანქანა შეჩერდა. დაიწყო ორმხრივი სროლა. ერთ-ერთმა მოწინააღმდეგემ ხელყუმბარა გვესროლა, ფეხის არეში მსუბუქად დავიჭერი. მეორე ხელყუმბარის ნამსხვრევმა კვირაია მუცლის არეში დაჭრა. ძლივძლივობით გავიყვანეთ ფარდულიდან. იქვე მდგარ გამგებლის მანქანაში ჩავსვით და საავადმყოფოსკენ გავუშვით. ტყვიები გამომელია. მძიმედ დაიჭრა პოლიციის კაპიტანი ომარ ზაქარაია. ვიღაცამ ავტომატის ერთი მჭიდი შემოაგდო ფანჯრიდან. როგორც შემდეგ გავიგე, პოლიციის უფროსის მოადგილე ჯ. გაბელია ყოფილა. ამ დროს მოწინააღმდეგეთა მანქანას ცეცხლი გაუჩნდა. აფხაზები მანქანიდან გადმოხტნენ. ერთ-ერთი დაჭრილი მოწინააღმდეგე ავიყვანეთ. ცომაიამ და ზაქარიამ საავადმყოფოში წაიყვანეს.

მანქანა პირთამდე იყო სავსე ყუმბარმტყორცნებითა და საბრძოლო მასალით. აფეთქების შედეგად რამდენიმე მოწინააღმდეგე ადგილზე დაიღუპა. სამმა გაქცევა მოახერხა. დავედევნეთ, ალყაში მოვაქციეთ. წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ ჰქონდა და დაგვნებდნენ. ისინი ოთარ ყოლბაიას მანქანით ოჩამჩირის სამხედრო შტაბში გადავიყვანეთ.

* * *

გია ბერიამ და ჩვენმა თანამშრომლებმა მართლაც მაღალპროფესიონალურად აღკვეთეს დივერსანტთა ტყვარჩელში გადასვლის მცდელობა, — გვიყვება რედაქციაში სტუმრად მოსული ვიქტორ ჩაგანავა. ფეხში დაჭრილმა გიამ ბოლომდე უხელმძღვანელა ამ ოპერაციას. სწორედ მის მიერ ნასროლმა ტყვიამ შეიწირა მოწინააღმდეგეთა მძღოლი და შეაჩერა მანქანა. როგორც შემდგომ შევიტყვეთ, ტყვედ აყვანილთა შორის იყო თავზეხელაღებული კრიმინალი, ბანდის მეთაური, ვინმე ფაჩულია, მეტსახელად „ბაბუ“.

გია და მისი მეუღლე ფოთში ცხოვრობენ. ოთხი შვილი ჰყავთ. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ომის შემდეგ ორი ობოლი ბიჭუნაც იშვილეს და ახლა ექვს შვილს უზრდიან სამშობლოს.

* * *

დღეს სოხუმის დაცემის დღეა — ყველასთვის მძიმედ მოსაგონარი და ტკივილიანი. მას შემდეგ თითქმის მეოთხედი საუკუნე გავიდა. ზოგისთვის დიდი დროა, ზოგისთვის — გაფრენილი წამები. ბევრისთვის ტკივილიანი, მაგრამ იმედიანი წლები — ჩვენ სოხუმში დავბრუნდებით! გვახსოვდეს აფხაზეთი!

ავთანდილ ბეძაური

ილია ჭავჭავაძის საფლავზე სარესტავრაციო სამუშაოები იწყება

ილია ჭავჭავაძის საფლავზე დეკორატიული კედელი და ბრინჯაოს ქანდაკება 1912 წელს მოეწყო და როგორც არქივიდან ამოღებული მასალებიდან ირკვევა, მისი დაზიანება აშენებიდან მალევე დაწყებულა.

თბილისის მერიამ, თავდაპირველად, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში ილია ჭავჭავაძის საფლავის აღდგენა-რესტავრაციის სამუშაოებისათვის კვლევითი ლაბორატორიის მომსახურება, ტენდერის შედეგების შესაბამისად, შპს ხელოვნების ნიმუშთა კონსერვაციის ცენტრს დაუკვეთა. კომპანიას ძეგლებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს და კვალიფიციურმა სპეციალისტებმა ჩატარებული კვლევის შედეგად დაადგინეს, თუ რა სახის სამუშაოებს საჭიროებდა საფლავის დაზიანებული ნაწილი, ასევე, რა მასალებისგან უნდა აღდგენილიყო საფლავის კედელი და იქვე მდებარე ი. ნიკოლაძის სიმბოლურ-ალეგორიული ხასიათის მონუმენტური ნამუშევარი — „მწუხარე საქართველო“.

კვლევის დასრულების შემდეგ, თბილისის მერიამ უშუალოდ სამუშაოების ჩატარება დაგეგმა და ტენდერის შესაბამისად, ილია ჭავჭავაძის საფლავზე აღდგენა-რესტავრაციის სამუშაოებს (ააიპ) ძეგლთა კვლევისა და კონსერვაციის ცენტრი განახორციელებს.

გუშინ მთაწმინდის პანთეონში თბილისის მერი დავით ნარმანია ცენტრის წარმომადგენელთან ერთად იმყოფებოდა, სადაც პირადად, დეტალურად გაეცნო საფლავზე არსებულ მდგომარეობასა და ჩასატარებელ სამუშაოებს.

დაფინანსებენ თუ არა საყდრისის ექსპოზიციას?

საყდრისის დაცვის კომიტეტი საყდრისის ექსპოზიციის დაფინანსებაზე ინფორმაციას მოითხოვს. **კომიტეტის წევრებმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადეს, რომ RMG GOLD-ის წარმომადგენლები ბოლნისში მხოლოდ მუზეუმის შენობის აშენება-გარემონტებას აფინანსებს,ხოლო საყდრისის ექსპოზიციის დაფინანსების შესახებ ინფორმაცია არა აქვთ.**



მათივე განმარტებით, საყდრისის ექსპოზიციის დაფინანსებაზე ინფორმაციას არ ფლობს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და თავად მუზეუმის კონცეფციის ავტორთა ჯგუფიც.

„ამ თემასთან დაკავშირებით ბოლო ერთი თვის განმავლობაში ამაოდ ვცდილობდით კომუნიკაციას საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან და კულტურის სამინისტროსთან. საყდრისის დაცვის კომიტეტი ითხოვდა შეხვედრას ე.წ. გაფართოებულ ფორმატში (კულტურის სამინისტრო, ეროვნული მუზეუმი, ძეგლთა დაცვის სააგენტო, საყდრისის კონცეფციის ავტორები და კომპანია RMG GOLD), სადაც განხილული იქნებოდა საყდრისის ექსპოზიციასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. მიუხედავად არაერთგზის დაპირებისა, შეხვედრა არ შედგა, ასევე არ მიგვიღია პასუხები კულტურის სამინისტროდან შესაბამის წერილებზე,“ — განაცხადეს საყდრისის დაცვის საზოგადოებრივი კომიტეტის წევრებმა.

როგორც საყდრისის დაცვის საზოგადოებრივი კომიტეტის წევრებმა აღნიშნეს, მათთვის ცნობილი გახდა, რომ სექტემბრის ბოლოს კულტურის სამინისტრო გეგმავს ბოლნისის მუზეუმის პრეზენტაციას, სადაც, სავარაუდოდ, მხოლოდ საყდრისიდან თავის დროზე შესასწავლად ამოღებული მასალა გამოეფინება, რითაც, მათი თქმით, კიდევ ერთხელ დაკნინდება საყდრისის, როგორც უძველესი ოქროს მაღაროს უნიკალურობა.

„საყდრისის დაცვის კომიტეტი ითხოვს, დროულად იყოს მოძიებული ფინანსები დაპირებისამებრ მაღაროს 3D მოდელის შესაქმნელად, რათა მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი — საყდრისის უძველესი ოქროს მაღარო ღირსეულად იყოს წარმოდგენილი ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში“, — განაცხადეს კომიტეტის წევრებმა.

სანთელი

სულხან ცინცაძის №5 (ყოფილი საბურთალოს ქ. №35) სახლის მცხოვრებლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მანანა კვერნაძე-შარაძენიძისა

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
დაკრძალვა 27 IX, 14 სთ.

რევაზ არველაძე, გუჩა დათუნაიშვილი, თამაზ ლეკიშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ შესანიშნავი პიროვნების, სასიქადულო ქართველი მამულიშვილის

გურამ ლორთქიფანიძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული პედაგოგი, ქალაქ სოხუმის მე-4 საშუალო სკოლის დირექტორი, საკავშირო პარლამენტის დეპუტატი, აფხაზეთის უხუცესთა საბჭოს წევრი, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს კავალერი

ნათელა ბოკუჩავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

◎ სულიერება

ჯვართამაღლება

მსოფლიო ამაღლება პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა



27 სექტემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია თაყვანს სცემს და დღესასწაულობს მსოფლიო ამაღლებას პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ კონსტანტინე დიდის დედამ, კეთილმსახურმა დედოფალმა ელენემ გადაწყვიტა იმ ჯვრის მოძებნა, რომელზეც იესო ქრისტე გააკრეს და საგანგებოდ გაემგზავრა იერუსალიმში. იქ მას უთხრეს, რომ ეს ჯვარი ჩაფლულია მიწაში და ზედ წარმართთა ტაძარია აშენებული.

ელენე დედოფლის ბრძანებით ტაძარი დაშალეს, გათხარეს და ნახეს სამი ჯვარი და პატარა ფიცარი, რომელზეც ეწერა: „იესო ნაზარეველი, მეუფე ურიათა“.

იმის გასაგებად, თუ რომელი მათგანი იყო ცხოველმყოფელი ჯვარი, სამივე ჯვარი რიგ-რიგობით შეახეს მიცვალებულს, აღსანიშნავია, რომ ორი ჯვრით სასწაული არ მოხდა, მესამე ჯვრის შეხებით კი მიცვალებული აღსდგა... ასე ამოიტანეს უფლის ჯვარი... აამაღლეს იგი! ჯვართამაღლებისას უამრავი ხალხი იყო შეკრებილი. ყველა იქ მყოფთ სურდა ჯვრის ხილვა – ცხოველმყოფელი ჯვრის დანახვისას ადამიანები თაყვანს სცემდნენ სიწმინდეს შემდეგი სიტყვებით „უფალო შეგვიწყალე!“

გიული ლიპარტია

◎ ანეკდოტები

– ზაფხულში სად იყავი, ჩემო ვახტანგ?

– საბერძნეთში, იტალიაში, საფრანგეთში.

– სად უფრო კარგად დაისვენე?

– წარმოდგენა არა მაქვს, მე ხომ ცოლთან ერთად ვიყავი წასული...

* * *

– **ბიჭო**, ექიმო, მიშველე, შაკიკი მაქვს!

– აბა რა სისულელეს ამბობ „შაკიკი მაქვსო“! შაკიკი არისტოკრატიული ავადმყოფობაა, შენნაირმა ხეპრემ კი უნდა თქვას „გოგრა მისკდებაო“!

* * *

ცოლი ეუბნება ქმარს:

– უწინ სიხარულს ეწეოდი ხოლმე, როცა დღეში თუნდაც რამდენიმე წუთი გხედავდი!

– ახლაც ასეა, ძვირფასო!

* * *

სიდედრი ეუბნება სიძეს:

– გეყოფა ასე უსაქმოდ ყოფნა, გადადე ეგ გაზეთი გვერდზე და წადი, ბოსტანი მაინც მორწყე!

– კი მაგრამ, პატივცემულო დედა, ვერ ხედავთ, რომ წვიმს?

– მერე რა რომ წვიმს?! შენც ან ლაბადა მოისხი ან თუ გინდა ჩემს ქოლგას მოგცემ!..

* * *

– **როგორ** აფასებთ თქვენს ფინანსურ მდგომარეობას?

– დიდებულად! ფული იმდენი მაქვს, რომ სიცოცხლის ბოლომდე მეყოფა! რა თქმა უნდა, თუკი რამის ყიდვა არ გადავწყვიტე!..

განცხადება

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

◎ დედაქალაქი

კიდევ ერთი ძირძველი უბნის მეორე ახალგაზრდობა

ოქტომბერში აღსანიშნავი ტრადიციული თბილისობის დღესასწაულისთვის დედაქალაქში გრანდიოზული პროექტის „ახალი ტფილისის“ ერთი პატარა უბნის – აღმაშენებლის პროსპექტის ნაწილის, კერძოდ, აბაშიძის ქუჩასთან კვეთიდან ვიდრე ზაარბრიუკენის მოედნამდე, რეაბილიტაცია დასრულდა, რომელიც საზეიმოდ 25 სექტემბერს გაიხსნა.

მანამდე კი აღმაშენებლის პროსპექტის აღნიშნულ უბანზე მორჩენილი სამშენებლო მასალებისგან გაწმენდითი და დეკორაციული მოწყობითი სამუშაოები მიმდინარეობდა. 22 სექტემბერს სარეაბილიტაციო სამუშაოების „ბოლო შტრიხები“ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ მოინახულა და ნანახით კმაყოფილი დარჩა. მთლიანად კი სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების შედეგად ძველი იერ-სახე დაუბრუნდა და გალამაზდა 48 სახლი. გარდა ამისა, გარკვეული აღდგენითი და სხვა ტიპის სამუშაოები ძველებურ თბილისურ ეზოებსაც ჩაუტარდა, რომლებსაც, რატომღაც, „იტალიურებს“ ვეძახით, შეკეთდა აღმაშენებლის პროსპექტის მიმდებარე, კერძოდ, კიევის, მაზნიაშვილის, ძმები წერეთლების, სუნდუკიანისა და ქურდიანის ქუჩები.

გამოიცვალა სანიაღვრე, საკანალიზაციო და საკომუნიკაციო სისტემები, ნაწილობრივ აღდგა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა სახლების ისტორიულ ფასადებსა და სადარბაზოებს. ბევრმა სახლმა ისე „გამოიხედა თვალში“, ნამდვილად უბნის ღირსშესანიშნაობა გახდება, ბევრი სადარბაზოკი, თურმე, ნამდვილ მარგალიტს ინახავდა ძველი ჭუჭყის ფენის ქვეშ. ამ მხრივ განსაკუთრებულად გამორჩეულია №36 სახლი, რომლის შესასვლელთან აბრაზე მითითებულია, რომ 1903 წელს იგი ცნობილმა მეცენატმა და საზოგადო მოღვაწემ ერასტი ჭავჭანიძემ ააშენა. სადარბაზოს გაწმენდილ ორ კედელს მშვენიერი ნახატები ამშვენებს, რომლებსაც ახლო მომავალში სრულფასოვანი რესტავრაცია ჩაუტარდება.



25 სექტემბერს კი აღმაშენებლის პროსპექტის განახლებული ნაწილის საზეიმო გახსნას უამრავი სტუმარი, მათ შორის პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, მთავრობის წევრები, თბილისის მერი დავით ნარმანია დაესწრნენ.

სანახაობა მართლაც დიდებული გამოდგა: გაკოხტავებული, ამიერიდან ფოსტის შენობიდან ზაარბრიუკენის მოედნამდე ტრანსპორტისთვის დაკეტილი და შესაბამისი ინფრასტრუქტურით მოწყობილი უბანი თეატრალიზებულად დიდი გემოვნებით იყო გაფორმებული. ქუჩა და ძველებური აივნები უამრავი დეკორაციული მცენარითა და ნაირ-ნაირი ყვავილით იყო მორთული, სეირნობდა ეროვნულ და მე-19 საუკუნის მოდაზე გამოწყობილი ხალხი, კლიენტებს ემსახურებოდნენ ძველებურად მოწყობილ საპარიკმახეროში და თბილისის ქუჩებიდან თითქოს სამუდამოდ „გამქრალი“ ფეხსაცმლის მწმენდავები. საზეიმო განწყობას კიდევ უფრო აძლიერებდა მადლიანი ღვინის კასრები, გამოფენილი ძველებური ჭურჭელი, საგანგებოდ მოწყობილი სცენიდან გადმოღვრილი ქალაქური მუსიკის ჰანგები, აივნებიდან გიტარის თანხლებით ნამღერი სიმღერები...

იმედია, რომ დედაქალაქის ეს განახლებული უძველესი უბანი, რომლის მსგავსი პროექტის „ახალი ტფილისის“ ფარგლებში დედაქალაქში კიდევ მრავალი უნდა მოეწყოს, თბილისის ნამდვილ მშვენებად იქცევა, რადგან მის აღდგენა-რეაბილიტაციაზე მეტად სოლიდური თანხა – დაახლოებით 30 მილიონი ლარი დაიხარჯა.

დალი ხუნდაძე

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3132; ევრო - 2.5947;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0032;
100 რუბლი - 3.6418; თურქული ლირა - 0.7845;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4036;
1000 სომხური დრამი - 4.8802.

ამინდი 27 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +6,	დღე +25
მთიანი რაიონები -	ღამე +3,	დღე +20
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +8,	დღე +23
მთიანი რაიონები -	ღამე +3,	დღე +19
თბილისი:	ღამე +9,	დღე +24

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE